INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: **"LAW AND WORLD"**
December 2020 (№15). Volume 6; Issue 2; Page No.115-144
https://doi.org/10.36475/6.2.11
www.lawandworld.ge
ISSN: 2346-7916 (Print); ISSN: 2587-5043 (Online)



Conscientious Objection
(European and American approaches)

Eva Gotsiridze
PhD in Law, Professor of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Judge of the Constitutional Court of Georgia

ABSTRACT

The Article concerns the legal issues, connected with the situation, when a person (or group of people) disobey requirements of the Law or other State regulations on the basis of religious or nonreligious belief. The Author analyses almost all related issues – whether imposing certain obligation on individuals, to which the individual has a conscientious objection based on his/her religious beliefs, always represents interference with his/her religion rights, and if it does, then what is subject of the interference – *forum integrum* or *forum externum*; whether neutral regulation, which does not refer to religion issues at all, could ever be regarded as interference into someone's religious rights; whether opinion or belief, on which the individual's objection and the corresponding conduct is based, must necesserily represent the clear "manifest" of the same religion or belief in order to gain legal protection; what is regarded as "manifest" of the religion or other belief in general and whether a close and direct link must exist between personal conduct and requirements of the religious or nonreligious belief; what are the criteria of the "legitimacy" of the belief; to what extent the following factors should be taken into consideration : whether the personal conduct of the individual represents the official requirements of corresponding religion or belief, what is the burden which was imposed on the believer's religious or moral feelings by the State regulation, also, proportionality and degree of sincerity of the individual who thinks that his disobidience to the Law is required by his/her religious of philosofical belief.

The effects (direct or nondirect) of the nonfulfilment of the law requirement (legal responsibility, lost of the job, certain discomfort, etc..) are relevant factors as well. By the Author, all these circumstances and factors are essencial while estimating, whether it arises, actually, a real necessity and relevant obligation before a state for making some exemptions from the law to the benefit of the conscientious objectors, in cases, if to predict such an objection was possible at all. So, the issues are discussed in the prism of the negative and positive obligations of a State. Corresponding precedents of the US Supreme Court and European Human Rights Court have been presented and analysed comparatively by the Author in the Article. The Article contains an important resume, in which the main points, principal issues and conclusion remarks are delivered. The Author shows, that due analysis of the legal aspects typical to "Conscientious objection" is very important for deep understanding religious rights, not absolute ones, and facilitates finding a correct answer on the question – how far do their boundaries go?

KEYWORDS: Conscientious objection, Religious Rights

BIBLIOGRAPHY:

1. Black's Law Dictionary, "Conscientious objector", St.Paul, Minn. West Publishing Co. Centennial edition, 1991.
2. P.van Dijk; G.J.H. van Hoof, 1998. Theory and practice of the European Convention on Human Rights; Kluwer Law international , Hague,-London-Boston.
3. R. A. Lawson & H.G. Schermers, 1999. Leading cases of the European Court of Human Rights (sec.ed).
4. D.G. Harris; M.O' Boule, C.Warbrick, 1995. Law of the European Convention on Human Rights; Butterwarths, London, Dublin; Edinburg.
5. William B.Lockhart, Yale Kamissar, Jesse H. Choper, Steven H. Shiffrin, Constitutional law; Cases – Comments – Questions, seventh edition, American Casebook Series, Westpublishing Co. 1991; Chapter 9, Freedom ef Religion.
6. Samanta Knight; Art. 9: Freedom of thought, Conscience and Relgion, Human Rights Practice, Sweet &Maxwell, Release 22; 2011.
7. Constitutionalism, achievements and Challenges; collection; scientific editors and publishers: Mindia Ugrekhelidze and Beka Kantaria; "Universal" publishing, Tbilisi, 2019; (in Georgian)
8. "Religious Freedom Restoration", 42 U.S. Code, § 2000bb, Congressional Findings and Declaration of Purposes, https://www.law.cornell.edu/uscode/text/42/2000bb.
9. Charter of Fundamental Rights of the European Union.
10. Eoropean Convention on Human Rights.
11. Christopher Decker, Lucia Fresa, The Status of conscientious objection under Article 4 of the ECHR; D. J. Intarnational Law and Politics, vol. 33: 379; http://www1.law.nyu.edu/journals/jilp/issues/33/pdf/33n.pdf
12. "Conscientious objection to military service, Commission on Human Rights resolution 1998/77, Document: CHR 54th 4/22/1998E/CN.4/RES/1998/77". United Nations Human Rights, Office of the High Commissioner for Human Rights. 2008; https://ap.ohchr.org/documents/sdpage_e.aspx?b=1&se=10&t=11
13. Merriam-Webster.com Dictionary, Conscientious objection; https://www.merriam-webster.com/dictionary/conscientious%20objection

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა (ევროპული და ამერიკული მიდგომები)

ევა გოცირიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, სამართლის დოქტორი

ᲡᲐᲙᲕᲐᲜᲫᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: ᲡᲐᲙᲕᲐᲜᲫᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, რელიგიური უფლებები

კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან[1] დაკავშირებული საქმეები წარმოაჩენს არაერთი ტიპის სამართლებრივ პრობლემას, ასპექტს, ჭრილს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი ხდება საქმის სამართლიანად გადასაწყვეტად. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ისე აშშ-ს სასამართლოებში, არაერთი იყო ისეთი საქმე, სადაც მთავარი, წამყვანი თემა უკავშირდებოდა სახელმწიფოს ან კერძო სუბიექტის აქტს თუ ღონისძიებას, რომელიც მოითხოვდა ინდივიდისაგან გარკვეული მოქმედების შესრულებას, ან პირიქით, მისგან თავის შეკავებას, რის მიმართაც ამ ინდივიდს

1 ეს ტერმინი (ინგ: conscientious objection) ისტორიულად ჩამოყალიბდა რელიგიური მოსაზრებების გამო სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმასთან მიმართებაში (მაგალითისათვის იხილეთ Black's Law Dictionary, "Conscientious objector", St.Paul, Minn. West Publishing Co. Centennial edition, 1991; გვ.210). თუმცა დღეს იგი უფრო ფართოდ გამოიყენება, როდესაც საქმე შეეხება ინდივიდის მიერ კანონის მოთხოვნის ან ამა თუ იმ რეგულაციიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას რელიგიური თუ არარელიგიური რწმენიდან გამომდინარე, მათ შორის, მორალის მოსაზრებებით.

გააჩნდა წინააღმდეგობა თავისი (რელიგიური თუ არარელიგიური) რწმენიდან გამომდინარე.

ამოცანა, რომელიც ამდაგვარ საქმეებში ჩვეულებრივ უნდა გადაწყდეს შემდეგია: უნდა დადგინდეს, წარმოადგენდა თუ არა ინდივიდზე შესაბამისი ვალდებულების დაკისრება, ანდა, ზოგიერთ შემთხვევაში – ამ ვალდებულებისაგან გაუთავისუფლებლობა, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას მისი რწმენის თავისუფლებაში, და თუ წარმოადგენდა, იყო თუ არა ის გამართლებული ღირებულებათა შესაბამის კონტექსტში. არცთუ იშვიათად, საკითხი მხოლოდ პოზიტიური ვალდებულების ჭრილშია შესაფასებელი, რა დროსაც უნდა გაირკვეს, დაარღვია თუ არა სახელმწიფომ რომელიმე თავისი პოზიტიურ ვალდებულებათაგანი, რომელიც შესაბამის შემთხვევებში მას წარმოეშვა უფლების დაცვის თუ დარღვევის პრევენციასთან მიმართებაში. უმეტეს შემთხვევაში, ეს უკავშირდება ვითარებას, სადაც უნდა შეფასდეს, საჭირო იყო თუ არა გამონაკლისების დაწესება ზოგადი რეგულაციიდან ღირებულებათა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

სასამართლო პრაქტიკა ამ სფეროში დიდი არ არის. თუმცა გამოიკვეთა, რომ ეს საქმეები, რომლებიც, თითქოსდა ერთგვაროვან თემატიკას გულისხმობენ, საკმაოდ კომპლექსურ მიდგომებს მოითხოვენ იმ ფაქტორთა მრავალგვარობიდან გამომდინარე, რომლებითაც კონკრეტულ საქმეები ხასიათდება.

სასამართლოებს უწევთ პასუხი გასცენ არაერთ კითხვას:

- როგორი უნდა იყოს რწმენა, რომელსაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა უკავშირდება, რათა მან დაცვა მოიპოვის რწმენის/ რელიგიის თავისუფლების საფუძველზე; როგორია ამ სფეროში სასამართლოს მიხედულების თავისუფლება იმსჯელოს ინდივიდის რწმენასთან დაკავშირებული მოთხოვნების ლეგიტიმურობაზე;
- რამდენად პირდაპირ უნდა იყოს ნაკარნახევი ინდივიდის ქმედება შესაბამსი რწმენით იმისათვის, რათა მან დაცვა მოიპოვოს; ეს ქმედება ინდივიდის რწმენის/ რელიგიის პირდაპირი მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს თუ ისიც საკმარისია, რომ იგი რწმენასთან/რელიგიასთან დაკავშირებული მოტივებით იყოს ნაკარნახევი; ანდა, საჭიროა თუ არა ინდივიდის ქმედება დაფუძნებული იყოს შესაბამისი რელიგიის, რწმენის პრინციპულ მოთხოვნებზე, პოსტულატებსა და დოქტრინებზე, თუ საკმარისია, რომ იგი მათ ინდივიდუალურ აღქმებსა და ინტერპრეტაციებს ეყრდნობოდეს;
- არის თუ არა სასამართლოს მხრიდან წინააღმდეგობის მქონე ადამიანთა გულწრფელობაში, და შესაბამისად, წინააღმდეგობის კეთილსინდისიერებაში დარწმუნება გადამწყვეტი;
- საერთოდ, რწმენის თავისუფლების რომელ კომპონენტში ხდება ამ დროს ჩარევა, რა არის ხელყოფის საგანი – Forum internum თუ Forum externum;
- ჩაყენებულია თუ არა პირი ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მას მოეთხოვება ანდა იძულებულია შეიცვალოს თავის რწმენა ანდა იმოქმედოს მის წინააღმდეგ, იმისათვის, რათა თავი დააღწიოს სამართლებრივ პასუხიმგებლობას (1), ან არ დაკარგოს სხვა უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა (2), ანდა ის პრივილეგიები, რომეთა სარგებლობის შესაძლებლობაც იარსებებდა დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში (3) ; ზემოაღნიშნული შემთხვევებიდან რომელი მათგანი გულისხმობს ჩარევას და რომელი – არა; როდისაა ჩარევის ინტენსიურობის ხარისხი ყველაზე მეტი;
- რა გავლენას ახდენს ერთი მხრივ, იმ ტვირთის სიმძიმე, რომელიც ინდივიდს დაეკისრა რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებაში და, მეორე მხრივ, ის პირდაპირი თუ გვერდითი შედეგები, რაც მოჰყვება რწმენით შთაგონებულ ინდივიდის ქცევას;
- შეიძლება თუ არა შინაარსობრივად ნეიტრალური კანონი, რომელიც სრულიადაც არ შეეხება რწმენის საკითხებს, წარმოადგენდეს ინდივიდის რწმენის თავისუფლებაში ჩარევას; ხომ არ უნდა შეფასდეს ასეთი შემთხვევები მხოლოდ პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში; არის თუ არა ასეთ დროს რელევანტური საკითხი, შეეძლო თუ არა კანონმდებელს წინასწარ განეჭვრიტა და აერიდებინა წინააღმდეგობის წარმოშობის შესაძლებლობა;

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას დიდი წვლილი შეაქვს არამარტო კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის თემის ღრმად გააზრებაში, არამედ, საერთოდ, რწმენის თავისუფლების შინაარსობრივი ფარგლების დასაზუსტებაში.

რწმენის „ლეგიტიმურობა“

თუ საკითხს ადამიანის უფლებათა ევროპული კოვენციის ჭრილში განვიხილავთ, იგი ასე უნდა დავსვათ: როგორი უნდა იყოს რწმენა, მათ შორის, როდესაც მას კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა უკავშირდება, რათა მან დაცვა მოიპოვოს კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში რამდენიმე კრიტერიუმი გამოიყენება:

პირველ რიგში, „რწმენა“ შეთავსებადი უნდა იყოს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ფილტრი კონვენციის დაცვის გარეშე დატოვებს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან შეუთავსებელ ნებისმიერ რწმენას/ რელიგიას, რადგან ერთადერთი პოლიტიკური რეჟიმი, რასაც კონვენცია ეფუძნება, ესაა დემოკრატია. ამიტომაა, რომ ფაშისტური, ნაცისტური, კომუნისტური იდეოლოგია და მათზე დაფუძნებული ქმედებები არ არის კონვენციის მე-9 მუხლის დაცვის საგანი. შესაბამისად, ვერავითარი წინააღმდეგობა, რომელიც ემყარება ზემოაღნიშნულ ანტიდემოკრატიულ რწმენას, ვერ იქნება პრაქტიკაში დაცული.[2]

ამის გარდა, „რწმენას“ უნდა გააჩნდეს განსაზღვრული ხარისხის დამაჯერებლობა, სერიოზულობა, თანმიმდევრულლობა და მნიშვნელოვნება (a certain level of cogency, seriousness, cohesion an importance).[3] ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ საკითხზე ნებისმიერი მოსაზრება ვერ იქნება მიჩნეული „რწმენად“ კონვენციის გაგებით, თუკი ის არ შეეხება საკმარისად მნიშვნელოვან საკითხს, არ წარმოადგენს კარგად ჩამოყალიბებულ კონცეფციას, რომელიც ლოგიკურადაა დასაბუთებული შესაბამისი არგუმენტებით.

იმის მაგალითად, თუ რა არ იქნა მიჩნეული ასეთად, შეიძლება გავიხსენოთ საქმე ***Gough v. The United Kingdom*** სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკიდან. მომჩივნის რწმენით, ადამიანის შიშველი სხეულის წარმოჩენა იყო სრულიად უწყინარი რამ და არავისთვის არ იყო შეურაცხმყოფელი. საჯარო სივრცეში შიშველ მდგომარეობაში სიარულისათვის ის დაკავებული იქნა რამდენჯერმე, რაც, მისი აზრით, წარმოადგენდა მისი რწმენის თავისუფლების დარღვევას. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის „რწმენა“ ვერ აკმაყოფილებდა დამაჯერებლობის, სერიოზულობის, თანმიმდევრულობისა და მნიშვნელოვნების აუცილებელ კრიტერიუმებს; შესაბამისად, მისი საჩივრის ეს ნაწილი დაუშვებლად იქნა ცნობილი.[4]

სტრასბურგის სასამართლოს განმარტების შესაბამისად, „... როდესაც ეს კრიტერიუმები (cogency, seriousness, cohesion and importance) კმაყოფილდება, სახელმწიფოს არ აქვს იმის უფლება, რომ რელიგიური რწმენის ან მისი გამოხატვის ლეგიტიმურობა შეაფასოს.“ [5] სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი, შეუთავსებელია სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური რწმენის ანდა იმ საშუალებების ლეგიტი-

2 ცოტა განსხვავებულ შემთხვევა იყო საქმე „რეფორმირებული პროტესტანტების პარტია ნიდერლანდების წინააღმდეგ“ . იგი შეხებოდა პროტესტანტების ერთი ჯგუფის მიერ შექმნილ პოლუტიკურ პარტიას, სადაც, რელიგიური მოსაზრებების გამო, აკრძალული იყო ქალი კანდიდატის წარდგენა ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში. მათი აზრით, ვინაიდან, ბიბლიის მიხედვით, ქალი შეიქმნა მამაკაცისაგან, ამიტომ სწორედ მამაკაცი განიხილებოდა ქალის უფროსად, შესაბამისად, ქალს არ უნდა ჰქონოდა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რეფორმირებული პროტესტანტების პარტიის საჩივარი უარყო. მისი განცხადებით, პარტიის „უფლება“ არ ჰყოლოდა ქალი კანდიდატები პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებზე, წინააღმდეგობაში მოდიოდა დემოკრატიული მმართველობის პრინციპთან, რომელიც სწორედ ადამიანის უფლებებს ემყარებოდა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ნიდერლანდების უზენაესი სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ პარტიის პოზიცია არღვევდა ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-7 მუხლს, ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-2 და 25-ე მუხლებს. ევროპული სასამართლოს აზრით, იმის მიუხედავად, რომ ქალის დეპუტატად წარდგენის მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ღრმა რელიგიურ მრწამსს ეფუძნებოდა, ასეთი წინააღმდეგობა ვერ იქნებოდა დაცული კონვენციის მე-9 მუხლით. საჩივარი არ იქნა არსებითად განსახილველად მიღებული. იხ: STAATKUNDIG GEREFORMEERDE PARTIJ v. the Netherlands, Application no. 58369/10; decision of 10 July 2012; http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-112340

3 Eweida and Others v. the United Kingdom, Judgment of 25 May 2013; http://hudoc.echr.coe.int/eng#{«itemid»:[«001-115881» იხ. აგრეთვე, Bayatyan v. Armenia [GC], no. 23459/03, § 110, ECHR 2011; Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany, no. 58911/00, § 80, 6 November 2008; Jakóbski v. Poland, no. 18429/06, § 44, 7 December 2010).

4 Gough v. the United Kingdom; Judgment of 23 March, 2015; იხ. http://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":["001-147796"]} პარ. 188.

5 Eweida and Others v. the United Kingdom. პარ. 81.

მურობის შეფასებასთან, რომლებითაც ეს რწმენაა გამოხატული.[6]

აქ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ „რწმენის ლეგიტიმურობაში“ იგულისხმება მხოლოდ ის, რომ შესაბამისი შემთხვევები მოქცეულია კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის დაცვის არეალში და არა ის, რომ ამა თუ იმ გზით მისი გამოხატვის/გაცხადების შეზღუდვა არასოდეს იქნება გამართლებული ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. სასამართლოს მიდგომა მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ ხსენებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში რწმენის ლეგიტიმურობა აღარ დადგება ეჭვქვეშ. თუმცა, სულ სხვა საკითხია, მოიპოვებს თუ არა პრაქტიკულ დაცვას ინდივიდის ესა თუ ის მოსაზრება და მასთან დაკავშირებული ქმედება, რომელიც, მისი აზრით, შესაბამის რწმენას ემყარება.

სტრასბურგის სასამართლომ გამიჯნა ინდივიდის რწმენისა და ინდივიდის იმ ქმედების დაცულობის საკითხები, რომელიც, მისი აზრით, სწორედ ამ რწმენის გამოხატულება, მისი გაცხადებაა. სტრასბურგის სასამართლო იკვლევს, წარმოადგენს თუ არა ინდივიდის ქმედება მისი რწმენის გაცხადებას, იმ რწმენისა, რომელიც დაცვას საჭიროებს. რწმენიდან დაკავშირებული წინააღმდეგობის საქმეებში ასეთი „ქმედება“, ჩვეულებრივ, არის რაიმე ვალდებულების შესრულებაზე უარი მასთან რელიგიური თუ სხვაგვარი წინააღმდეგობის გამო. შესაბამისად, გარკვევას ექვემდებარება საკითხი – წარმოადგენდა თუ არა ეს უარი ინდივიდის რწმენის გაცხადებას, იმგვარი რწმენისა, რომელიც დაცვას საჭიროებს.

თავის მხრივ, საკითხს წარმოადგენს თუ არა ინდივიდის ქმედება რწმენის გაცხადებას, სტრასბურგის სასამართლო შედარებით ვიწროდ განმარტავს და ამბობს, რომ ქმედება უნდა წარმოადგენდეს რწმენის პირდაპირ გაცხადებას.

ზემოაღნიშნული მიდგომა ნათლად გამოხატა სასამართლომ საქმეზე – *Skugar and others v. Russia* – შემდეგი განმარტებით:

„ მე-9 მუხლის გამოყენებადობის გადაწყვეტისას ორი საკითხი უნდა გაირკვას: პირველი, არის თუ არა მომჩივნის რწმენა იმგვარი, რომელიც მოითხოვდეს დაცვას როგორც რელიგიური რწმენა ან სინდისი; და მეორე, შეიძლება თუ არა მომჩივნის ქმედება მიჩნეულ იქნას ამ რწმენის პირდაპირ გაცხადებად (რწმენისა, რომელიც დაცვას საჭიროებს)“;

პირველ საკითხზე სასამართლომ აღნიშნა, რომ მის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა, შეფასებინა რელიგიური მოთხოვნის ლეგიტიმურობა, ან ეჭვქვეშ დაეყენებინა მისი ვალიდურობა, ანდა რწმენის ან პრაქტიკის ცალკეული ინტერპრეტაციის სისწორე და მისი ხარისხი. მიზანშეუწონელი იყო შესულიყვნენ ინდივიდუალური რწმენის ბუნებისა და მნიშვნელობის სიღრმეებსა და დისკუსიაში, ვინაიდან რაც ერთი ადამიანისთვის შეიძლება ყოფილიყო წმიდათაწმიდა, მეორე ადამიანისთვის ის შესაძლოა ყოფილიყო აბსურდი ან ანათემა. [7]

რაც შეეხება მეორე საკითხს – თუ რა ჩაითვლება რწმენის პირდაპირ გაცხადებად – სასამართლო მოითხოვს, რომ რწმენასა და ქმედებას შორის უნდა არსებობდეს საკმარისად მჭიდრო და პირდაპირი კავშირი. ეს კრიტერიუმი ქვემოთ არის განხილული.

რწმენის „გაცხადება“ და „საკმარისად მჭიდრო და პირდაპირი კავშირი“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმისათვის, რათა ინდივიდის ესა თუ ის ქმედება მიჩნეულ იქნას რელიგიის/რწმენის საფუძველზე წარმოშობილ კეთილსინდისიერ წინააღმდეგობად, აუცილებელია, ეს ქმედება მიჩნეულ იქნას შესაბამისი რწმენის „გაცხადებად“. სასამართლო შედარებით თავშეკავებულია იმის შეფასებისას, თუ რა ჩაითვლება რწმენის /რელიგიის „გაცხადებად“. მართალია, იგი მოითხოვს, რომ არსებობდეს საკმარისად მჭიდრო და პირდაპირი კავშირი რწმენასა და ქმედებას შორის, მაგრამ არ მოითხოვს, რომ ქმედება წარმოადგენდეს შესაბამისი რწმენის გამოხატვის აღიარებულ ფორმას.

კონვენციის მე-9 მუხლში გამოყენებული ტერმინი – „ *practice* “ – განმარტებულია ვიწროდ, და იგი არ გულისხმობს, ყველანაირ აქტს, რაც კი რელიგიით ან რწმენით არის მოტივირებული, ანდა შთაგონებული[8]. **რელიგიის/რწმენის**

---

6 (იხ. Manoussakis and Others v. Greece, judgment of 26 September 1996, Reports 1996-IV, p. 1365, § 47; Hasan and Chaush v. Bulgaria [GC], no. 30985/96, § 78, ECHR 2000XI; Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey [GC], nos. 41340/98, 41342/98, 41343/98 and 413 44/98, § 1, ECHR 2003-II).

7 Skugar and Others v. Russia, Judgment, European Court of Human Rights, Decision, 40010/04, 03; /12/2009 იხ. http://hudoc.echr.coe.int/eng#{«itemid»:[«001-96383»]} (იხ. აგრეთვე X. v. the United Kingdom, no. 7291/75, Commission decision of 4 October 1977).

8 Metropolitan Church of Bessarabia v Moldova, 2000-

შესაბამისი „ გაცხადება “ (manifest) უნდა წარმოადგენდეს ადამიანის ამა თუ იმ რწმენის გამოხატულებას და უშუალოდ იყოს ამ რწმენასთან დაკავშირებული.[9]

სასამართლომ კერძოდ განმარტა შემდეგი:

„მაშინაც კი, როდესაც რწმენას ახასიათებს „განსაზღვრული ხარისხის სიმყარე, დამაჯერებლობა, თანმიმდევრულობა, სერიოზულობა და მნიშვნელოვნება“, ვერ ვიტყვით, რომ ნებისმიერი აქტი, რომელიც შთაგონებული, მოტივირებული ან განპირობებულია ამ რწმენით, წარმოადგენს ამ რწმენის „გაცხადებას“. მაგალითად, ქმედება ან მისგან თავის შეკავება, რომლებიც პირდაპირ არ გამოხატავს შესაბამის რწმენას და რომელიც მხოლოდ შორეულ კავშირშია მასთან, ექცევა მე-9 მუხლის დაცვის მიღმა“. [10]

„იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს „გაცხადებად“ მე-9 მუხლის გაგებით, იგი პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს შესაბამის რელიგიას ან რწმენას. ამის მაგალითი იქნებოდა თაყვანისცემის ან ღვთისმოშიშობის აქტი, რომელიც წარმოადგენს რელიგიის ან რწმენის პრაქტიკული განხორციელებების საყოველთაოდ აღიარებულ ერთ-ერთ ფორმას. თუმცა, რწმენის ან რელიგიის გაცხადება არ ამოიწურება ამ აქტებით. საკმრისად ახლო და პირდაპირი კავშირის არსებობა ქმედებასა და რწმენას შორის უნდა დადგინდეს ფაქტების საფუძველზე ყოველ კონკრეტულ საქმეზე. ამასთან, მოსარჩელეს არ მოეთხოვება ამტკიცოს, რომ იგი მოქმედებდა სწორედ რელიგიური ვალდებულებების შესრულების მიზნით“.[11]

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საქმეზე სასამართლომ რწმენის პირდაპირ გამოხატულებად და მაშასადამე, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულად მიიჩნია: წმინდა ტექსტების კითხვა, [12] სხვებთან ერთად შეკრება ღვთისმსახურებისათვის,[13] თემის ცხოვრებაში მონაწილეობა, [14] ქადაგება,[15] სპეციალური ტანსაცმლის ტარება, [16] დიეტური შეზღუდვების დაცვა,[17] და სხვა.

თუმცა, აღსანიშნავია შემდეგი: მართალია, სასამართლომ ქმედებასა და რწმენას შორის ახლო და მჭიდრო კავშირის კრიტერიუმი ჩამოაყალიბა, მაგრამ, იმავდროულად იგრძნობა, რომ იგი სიფრთხილით ეკიდება იმის შეფასებას, წარმოადგენს თუ არა ცალკეული ქმედება რელიგიური ვალდებულებების ნაწილს და ასეთ დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ინდივიდის გულწრფელობას, წინააღმდეგობის კეთილსინდისიერებას. სასამართლოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია დარწმუნდეს იმაში, რომ წინააღმდეგობა ეფუძნებოდა ადამიანის გულწრფელ მოსაზრებებს, რაიმეს სისწორეში ან სიმცდარეში მის გულწრფელ რწმენას.

მისივე განმარტებით:

„ვერავითარი ლოგიკური და სამართლებრივი არგუმენტის მოხმობით ვერ იქნება შესაძლებელი მორწმუნის იმ მტკიცების ეჭვის ქვეშ დაყენება, რომ ცალკეული რწმენა ან ქმედება მისი რელიგიური ვალდებულების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგეს. თუმცა, ეს არ ართმევს სასამართლოს იმის შესაძლებლობას, ფაქტების საფუძველზე გამოიკვლიოს, იყო თუ არა მომჩივნის რელიგიური მოსაზრებები ნამდვილი და გულწრფელი“.[18]

საქმე ***Skugar and others v. Russia*** შეხებოდა 1999 წელს რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ რეგულაციას, რომლითაც გადასახადის გადამხდელებს მიენიჭათ საიდენტიფიკაციო ნომერი. მომჩივნის აზრით, მაიდენტიფიცირებელი ნომრის მინიჭება მისთვის მხეცის ნიშნის დადების ტოლფასი იყო. ამგვარი რამ მოხსენებული იყო ბიბლიის აპოკალიფსის თავში და ამ ნიშნის დადება მას აშორებდა მართმადიდებლური ეკლესიისგან. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ბიბლიის მომჩივნისეული ინტერპრეტაცია წინააღმდეგობაში იყო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის განმარტებასთან, სტრასბურგის სასამართლოს

XI;35 EHRR 306 para 117; Hasan and Chaush v Bulgaria, 2000-XI; 34 EHRR 1339, para 78 GC.

9 Hasan and Chaush v Bulgary (20020 34 EHRR. 55.

10 იხ. Skugar and Others v. Russia (dec.), no. 40010/04, 3 December 2009 and, for example, Arrowsmith v the United Kingdom. Commission's report of 12 October 1978, Decisions and Reports 19, p. 5; C. v. the United Kingdom , Commission decision of 15 December 1983, DR 37, p. 142; Zaoui v. Switzerland (dec.), no. 41615/98, 18 January 2001.

11 (იხ. Cha'are Shalom Ve Tsedek v. France [GC], no. 27417/95, §§ 73-74, ECHR 2000VII; Leyla Şahin, cited above, §§ 78 and 105; Bayatyan, cited above, § 111; Skugar; Pichon and Sajous v. France (dec.); no. 49853/99, Reports of Judgments and Decisions 2001-X.

12 Kuznetsov and Others, Judgment of 11 January 2007;

13 Barankevich v. Russia, no. 10519/03, § 20, 26 July 2007,

14 Supreme Holy Council of the Muslim Community v. Bulgaria, no. 39023/97, § 73, 16 December 2004;

15 Kokkinakis v. Greece, 25 May 1993, § 36, Series A no. 260A,

16 Leyla Şahin v. Turkey [GC], no. 44774/98, § 78, ECHR 2005XI, and Phull v. France (dec.), no. 35753/03, 11 January 2005;

17 Cha'are Shalom Ve Tsedek v. France [GC], no. 27417/95, § 73, ECHR 2000VII.

18 Skugar and Others v. Russia. European Court of Human Rights, Decision, 40010/04, 03 /12/2009; იხ. http://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":["001-96383"]}

არ უარუყვია, რომ მომჩივნის ქმედება წარმოადგენდა მისი რწმენის გაცხადებას. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობდა გარემოება, რომელიც მიუთითებდა მომჩივნის რწმენის არაგულწრფელობაზე, სასამართლო მიიჩნევდა, რომ მომჩივნის წინააღმდეგობა ზემოაღნიშნულ კოდთან მიმართებით, მე-9 მუხლით დაცულ სფეროდ უნდა მიჩნეულიყო.[19]

საქმე *Eweida and Others v. The United Kingdom*[20] შეხებოდა ოთხ მომჩივანს, რომლებიც იყვნენ მორწმუნე ქრისტიანები. ორი მომჩივანი (პირველი მომჩივანი იყო «ბრიტანეთის ავიახაზების» თანამშრომელი, ხოლო მეორე მომჩივანი, ხანდაზმულთა მედდა), მე-9 მუხლით დაცული უფლების დარღვევად მიიჩნევდა მათი დამსაქმებლის მიერ მათ დავალდებულებას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თვალსაჩინოდ არ ეტარებინათ ჯვარი; მომჩივანთა მეორე ნაწილი კი დარღვევად მიჩნევდა დამსაქმებლის მიერ მათთვის მიცემულ დავალებას, ემუშავათ არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირთა ოჯახების საქმეებზე და გაეწიათ მათთვის დახმარება. კერძოდ, მესამე მომჩვანი იყო დაბადების, გარდაცვალებისა და ქორწინების რეგისტრატორი, ხოლო მეოთხე მომჩივანი – სექსისა და ურთიერთობების კონფიდენციალური კონსულტანტი. მათი აზრით, მათი რწმენის ნაწილს წარმოადგენდა ის, რომ ოჯახი იყო კაცსა და ქალს შორის ერთობა. შესაბამისად, ზემოღნიშნული დავალების განხორციელება მათი მხრიდან იქნებოდა ჰომოსექსუალიზმის ხელშეწყობა, რაც შეუთავსებელი იყო მათ რელიგიურ მრწამსთან. ოთხივე მომჩივანი გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, რაც მათი აზრით, წარმოადგენდა მათი რელიგიის თავისუფლების დარღვევას, რამდენადაც ეს ვალდებულებები მათ არ შეასრულეს სწორედ რელიგიური წინააღმდეგობის გამო.

ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც შთაგონებული, მოტივირებული ან ნაკარნახევი იყო ამ რწმენით, მისი გაცხადების ლეგიტიმურ საფუძველს ვერ შექმნიდა. ქმედებები, რომლებიც პირდაპირ არ გამოხატავდა დასახელებულ რწმენას ან ნაკლებ კავშირში იყო ამ რწმენის მოძღვრებასთან, ვერ მოექცეოდა მე-9 მუხლით დაცულ სფეროში. მე-9 მუხლის მიზნებისთვის, რწმენის გაცხადებად ჩაითვლებოდა შემთხვევა, როდესაც რწმენის გამოხატვა მჭიდრო უკავშირდებოდა და „შესისხლხორცებული იყო" შესაბამის რელიგიასთან ან რწმენასთან. შესატყვისი მაგალითი იყო ლოცვა, რაც წარმოადგენდა რწმენის გაცხადების ტრადიციულ მეთოდს. თუმცა, რწმენის გაცხადება შემოსაზღვრული ვერ იქნებოდა მხოლოდ ასეთი ფორმებით. თუკი გამოხტვის ფორმასა და რწმენას შორის საკმარისად ახლო და პირდაპირი კავშირი არსებობდა, **ასეთი შემთხვევები მოექცეოდა მე-9 მუხლით დაცულ სფეროში.**

ამ საქმეში სასამართლოს არ უარუყვია, რომ მომჩივანთა მოთხოვნები წარმოადგენდა მათი რწმენის გაცხადებას და რომ ისინი დაცული იყო მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით. ამიტომ, მათი შეზღუდვა მან ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეაფასა. **გადამწყვეტი აღმოჩნდა პროპორციულობის ტესტი.** კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა ცნობილ იქნა მხოლოდ პირველ მომჩივანთან მიმართებაში. სხვა მომჩივნების გათავისუფლება რელიგიური წინააღმდეგობის გამო მოვალეობების შეუსრულებლობისათვის არ იქნა მიჩნეული რელიგიის თავისუფლების დარღვევად. გათავისუფლების ღონისძიებები გამართლებულად იქნა მიჩნეული სხვა პირთა დაცვის ლეგიტიმური ინტერესებისათვის.

ზემოაღნიშნული და სხვა საქმეები მოწმობენ, რომ „პირდაპირი და მჭიდრო კავშირის" შეფა-

19 შესატყვისი მაგალითია აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრატიკაში არსებული საქმე – ნანა სეფიაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ. მოსარჩელეები გამოთქვამდნენ თავიანთ რელიგიურ წინააღმდეგობას, მათ შორის, ახალი ელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობებთან მიმართებაში, რომლებიც შეიცავს ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელს – ჩიპს. მათი აზრით, ჩიპი წარმოადგენს ადამიანებზე მასობრივი კონტროლის საშუალებას და მისი ტარება ღმერთის ღალატს და ანტიქრისტეს გზაზე დადგომას ნიშნავს. თავიანთი ინფორმაციის წყაროდ ისინი მიუთითებდნენ მართლმადიდებლურ სამყაროში გავრცელებულ მოსაზრებაზე, ბერების პოზიაციაზე და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეკლესიის წმინდა სინოდს კრებაზე დადასტურებული ჰქონდა ის გარემოება, რომ ჩიპი არ შეიცავს მხეცის ნიშანს, და, მაშასადამე, მოსარჩელეების პოზიცია არ იყო გამყარებული ეკლესიის ოფიციალური პოზიციით, საკონსტიტუციო სასამართლოს უარი არ უთქვამს, რომ მოსარჩელეთა მოსაზრებები ჩაეთვალა ისეთად, რომლებსაც ფარავს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელზე # 1404 – ნანა სეფიაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ.

20 Eweida and Others v. the United Kingdom. ზემოთ მითითებული, იხ. http://hudoc.echr.coe.int/eng#{«itemid»:[«001-115881»]}

სებისას სტრასბურგის სასამართლო არ არის მკაცრი. **იგი ფრთხილად ეკიდება ამ თემას და მხოლოდ აშკარა შემთხვევებში არ მიიჩნევს კავშირს ასეთად.** მაგალითად, რწმენის პირდაპირ გამოხატულებად მან არ მიიჩნია: სიკვდილის შემდეგ ფერფლის მიმობნევა საკუთარ მიწაზე,[21] ფოტოს დადება სამარის ქვაზე,[22] ბავშვისთვის გარკვეული კონკრეტული სახელის მიცემა[23], თვითმკვლელობაში დახმარების გაწევის დასჯადობიდან გამონაკლისის მოთხოვნა [24], უარი სასკოლო პარადში სავალდებულო მონაწილეობაზე[25], აფთიაქარის უარი გაყიდოს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები[26] და სხვა შემთხვევები.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხში **აშშ-ს სასამართლოების მიდგომა მსგავსია ევროპულისა.** ისინიც ფრთხილად ეკიდებიან იმაზე გადაჭრით საუბარს, თუ რამდენად პირდაპირ გამომდინარეობს შესაბამისი რელიგიური სწავლებიდან მოსარჩელის რელიგიური მოსაზრებები და ქმედებები. არც მათთვისაა გადამწყვეტი, რამდენად შეესაბამება შესაბამისი რწმენა, მოსაზრება თუ ინტერპრეტაცია ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას, ანდა გაზიარებულია თუ არა იგი მოსარჩელის მოძღვარის მიერ. მსგავსად ევროპული მიდგომისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რწმენის გულწრფელობას.

კერძოდ, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ქვეშ მოწმდება ადამიანის გულწრფელობა საკუთარი მრწამსის მიმართ. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენად შეესაბამება პირის მოსაზრებები ან რელიგიური დოგმატიკის ესა თუ ის ინტერპრეტაცია რომელიმე კონფესიის თუ იდეოლოგიური ჯგუფის წევრების შეხედულებებს ანდა თავად კონფესიის დოგმებს. გარდა ამისა, არც ისაა აუცილებელი, რომ პირი რომელიმე რელიგიური ჯგუფის წევრი იყოს, იმისათვის რათა მისი წინააღმდეგობა დაცული იყოს აშშ-ს კონსტიტუციის პირველი დამატებით.[27] აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მოსამართლეები ვერ გადაწყვეტენ პირის რელიგიური მრწამსის სისწორეს. სასამართლოების კომპეტენციაში არ შედის პირის რელიგიური გრძნობის სისწორის გადამოწმება რაიმე ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით.[28] ამის მაგივრად, სასამართლოები ამოწმებენ, თუ რამდენად გულწრფელად მისდევს ადამიანი საკუთარ მრწამსს.[29]

საქმე – ***U.S. Equal Employment Opportunity Commission v. Consol Energy, INC*** [30] – შეეხებოდა ქვანახშირის კომპანის მეშახტის უარს სამსახურში მისვლისა და გასვლის დროს გაევლო თითის ანაბეჭდის ბიომეტრიული სკანირების სისტემა. კომპანიამ ეს სისტემა შემოიღო მუშაკების სამსახურში მისვლისა და გასვლის დროის გასაკონტროლოებლად. მოსარჩელემ, გვარად ბატჩერმა, რომელიც 40 წლის განმავლობაში მუშაობდა ამ კომპანიაში მეშახტედ, უარი თქვა სამსახურში მისვლისა თუ იქიდან წამოსვლის დროს გაეტარებინა მარჯვენა ხელი სკანერზე. იგი იყო ევანგელისტი ქრისტიანი და მიაჩნდა, რომ დამსაქმებლის მოთხოვნა იყო ბიბლიური წინასწარმეტყველების აღსრულება. აპოკალიფსის გამოცხადების ერთ-ერთი პასაჟის თანახმად, ანტიქრისტე მოევლინება დედამიწას და მისი მოსვლის ჟამს ხალხი მიიღებს მის ნიშანს მარჯვენა ხელსა და შუბლზე ... და არავის შეეძლება იყიდოს ან გაყიდოს რაიმე ამ ნიშნის გარეშე. მოსარჩელემ ხელის სკანირება აღიქვა მისთვის მხეცის ნიშნის დადებად; მან აცნობა დამსაქმებელს კონფლიქტის შესახებ და წარუდგინა თავისი მოძღვარის მოსაზრება სკანირებასა და მხეცის ნიშანს შორის კავშირისა და მისი რელიგიური წინააღმდეგობის შესახებ.

კომპანია შეცადა დაერწმუნებინა მუშაკი, რომ სკანერში ხელის გატარება არ ტოვებდა რაიმე ნიშანს სხეულში და გადასცა ცნობა ამის თაობაზე. მანვე დასაქმებულს შესთავაზა მარჯვენის ნაცვლად, მარცხენა ხელით გაეკეთებინა სკანირება, რაზეც უარი მიიღო. თავის მხრივ, კომპანიაც უარზე იყო მოსარჩელე რეგისტრაციაზე გაეტარებინა პირადი ნომრით, მაშინ როდესაც, სხვა ორი თანამშრომელის რეგისტრაცია, რომლებსაც ხელი ჰქონდათ დაზიანებული, ხორციელდებოდა პირადი ნომრის მეშვეობით. მოსარჩელე იძულებული გახდა დაეტოვებინა სამსახური.

---

21 X. v. Germany, no. 8741/79, Commission decision of 10 March 1981, D.R. 24, p. 137.

22 Jones v. the United Kingdom (dec.), no. 42639/04, 13 September 2005.

23 Salonen v. Finland, no. 27868/95, Commission decision of 2 July, 1997.

24 Pretty v. the United Kingdom, no. 2346/02, § 82, ECHR 2002III.

25 Valsamis v. Greece and Efstratiou v. Greece, 18 December 1996, § 37, Reports 1996VI,

26 Pichon and Sajous v. France (dec.), no. 49853/99, 2 October 2001.

27 Thomas v. Review Board, 450 U.S. 707 (1981).

28 United States v. Ballard, 322 U.S. 78 (1944).

29 იხ. მაგ. Quaring v. Peterson, 728 F.2d 1121 (8th Cir. 1984).

30 United States Court of Appeals for the Fourth Circuit; 16-12-30, 12/06/2017. http://www.ca4.uscourts.gov/Opinions/Published/161230.P.pdf

ეროვნული სასამართლოსთვის გადამწყვეტი ის კი არ აღმოჩნდა, რამდენად გონივრული იყო მომჩივნის რელიგიური მოსაზრებები, ანდა ის, იყო თუ არა ისინი გაზიარებული მისი რელიგიური სექტის მიერ, არამედ იმის გარკვევა, თუ რამდენად გულწრფელი იყო მომჩივანი.

სასამართლოს აზრით, მომჩივნის რელიგიური წინააღმდეგობა იმითაც ვლინდებოდა, რომ მას გულწრფელად სწამდა, რომ ამ სისტემაში მონაწილეობა, სკანირების შედეგად ხელზე ხილული ნიშნის დადებით თუ მის გარეშე, წარმოადგენდა ანტიქრისტესთან ალიანსში შესვლას, რაც შეუთავსებელი იყო მის რელიგიურ გრძნობებთან. ყოველივე ეს მოწმობდა რელიგიური გრძნობებსა და სკანერის გავლის ვალდებულებას შორის არსებული კონფლიქტის გულწრფელობას. ... **არც მოპასუხის და არც სასამართლოს საქმე არ იყო განესაზღვრა მისი რელიგიური აღქმების სისწორე ან დამაჯერებლობა. მოსარჩელის რელიგიური გრძნობები დაცული იყო იმის მიუხედავად, დაეთანხმებოდა თუ არა მას მისი მოძღვარი. რელიგიურ გრძნობები არ იყო ზღვარდადებული მხოლოდ იმ გრძნობებით, რომლებიც გაზიარებული იყო რელიგიური სექტის მიერ. ასე რომ, არც მოპასუხის, არც სკანერის მწარმოებლის, არც მღვდელმსახურის და არც სასამართლოს საქმე არ იყო იმის განსაზღვრა, რამდენად გონივრული იყო მოსარჩელის რელიგიური წინააღმდეგობა სკანირების სისტემის მიმართ.** ამგვარად, არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები იმაში დასარწმუნებლად, რომ რომ მოსარჩელის რელიგიური რწმენა იყო სავსებით გულწრფელი.

როდესაც არ დასტურდება საკმარისად მჭიდრო და პირდაპირი კავშირი

საქმეებში, სადაც ქმედებასა და რელიგიის/რწმენის მოთხოვნებს შორის პირდაპირი და მჭიდრო კავშირის დაუდგენლობის გამო შესაბამისი ქმედება არ არის მიჩნეული რწმენის „გაცხადებად“, სტრასბურგის სასამართლო, ლოგიკურად, იმ დასკვნამდე მიდის, რომ **არ არსებობდა საკუთრივ ჩარევა რწმენის თავისუფლებაში.** მაგალითად:

საქმეში ***Pichon and Sajous v. France*** [31] მომჩივნები იყვნენ აფთიაქის მესაკუთრეები, რომლებიც ურს აცხადებდნენ კონტრაცეპტიული საშუალებების გაყიდვაზე საკუთარ აფთიაქში. მათი განცხადებით, აღნიშნული მედიკამენტების გაყიდვა ეწინააღმდეგებოდა მათ რწმენას და ამგვარი ვალდებულების მათთვის დაკისრება არღვევდა მათი რწმენის თავისუფლებას.

სასამართლომ აფთიაქარების უარი არ მიიჩნია რწმენის „გაცხადებად“. სასამართლოს აზრით, კონვენციის მე-9 მუხლი არ იძლეოდა იმის გარანტიას, რწმენით ნაკარნახევი ყოველი ქმედება საჯარო სივრცეში განხორციელებულიყო. მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებული სიტყვა – **„გაცხადება“ – არ მოიცავდა ნებისმიერ ქცევას, რომელიც შთაგონებული იყო რწმენით ან რელიგიით.** ვინაიდან კონტრაცეპტივების გაყიდვა ლეგალური იყო და ხორციელდებოდა მხოლოდ რეცეპტის საფუძველზე, აფთიაქებში, მომჩივნები ვერ მიანიჭებენ პრიორიტეტს თავიანთ რელიგიურ რწმენას და ვერ დააძალებენ სხვებს ამ რწმენის გაზიარებას, როგორც მათი უარის გამართლებას მსგავსი პროდუქტების არგაყიდვაზე, მაშინ როდესაც, **მათ შეეძლოთ გამოეხატათ თავიანთი რწმენა მრავალგავარად, პროფესიული სფეროს გარეთ.** შესაბამისად, **მომჩივნებისთვის კონტრაცეპტიული საშუალებების გაყიდვის დავალდებულება არ წარმოადგენდა მე-9 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას** და საჩივარი დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ზემოაღნიშნულ მიდგომას, თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ:

საქმეში ***McFeeley and Others v. the United Kingdom***[32] მსჯავრდებული მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ციხის უნიფორმის ტარება და ციხეში მუშაობა ეწინააღმდეგებოდა მათ რწმენას. შესაბამისად, ამ ვალდებულებისგან ისინი უნდა გაეთავისუფლებინათ. მოპასუხემ მთავრობის განმარტებით, კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტში ხსენებული სიტყვა – „რწმენა“ – გულისხმობდა სულიერ და ფილოსოფიურ შეხედულებს, რომელსაც გააჩნდა იდენტიფიცირებადი ფორმალური შინაარსი და არა მოსაზრებებს ან გრძნობებს ნებისმიერ საკითხზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიუთითა, რომ რწმენის გაცხადების თავისუფლება არ უნდა განმარტებულიყო იმგვარად, თითქოს იგი მოიცავდა ადამიანის უფლებას, ეტარებინა სა-

31 Pichon and Sajous v. France. Judgment of 30/10/2012; იხ. http://hudoc.echr.coe.int/eng#{“itemid”:[“001-22644”]}

32 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1980 წლის 15 მაისის განჩინება საქმეზე, McFeeley and Others v. the United Kingdom. იხ. http://hudoc.echr.coe.int/eng#{“itemid”:[“001-74412”]}

კუთარი ტანსაცმელი ციხეში.[33] ამ საქმეზე **არ დადგინდა ჩარევა.**

საქმე ***X. v. the United Kingdom***[34] შეეხებოდა ბუდისტი პატიმრის მიერ ბუდისტურ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებას, რის შემდეგაც, საპატიმროს ადმინისტრაციის მხრიდან მას აეკრძალა სტატიების გაგზავნა ჟურნალის რედაქტორისათვის. მომჩივნის აზრით, ამ აკრძალვით მას დაურღვიეს რწმენის თავისუფლება, რამდენადაც იდეათა გაცვლა ბუდისტებს შორის წარმოადგენდა ბუდიზმის, როგორც რელიგიის აღმსარებლობის ერთ-ერთ ელემენტს. კომისიის აზრით, მომჩივანმა ვერ დაასაბუთა, რომ სტატიების გამოქვეყნება რელიგიურ ჟურნალში სხვა ბუდისტებთან კომუნიკაციისათვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა და მე-9 მუხლში ჩარევა არ დაადგინა.

საქმეში ***Knudsen v. Norway*** [35] ასევე **არ დადგინდა ჩარევა, თუმცა, სხვაგვარი არგუმენტების გამოიყენებით.** საქმე შეხებოდა რელიგიის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებას მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო. ნორვეგიაში 1978 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ქალს მიეცა აბორტის გაკეთების უფლება ორსულობის 12 კვირის განმავლობაში. მომჩივანი იმხანად იყო რელიგიის მინისტრი, რომელმაც პროტესტის ნიშნად უარი თქვა დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე, რის შემდეგაც ის გაათავისუფლეს თანამდებობიდან. იგი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული საფუძვლით მისი თანამდებობიდან გადაყენებით შეილახა მისი რწმენის თავისუფლება. მისი შეხედულებები აბორტის თემაზე ემთხვეოდა ნორვეგიის ეკლესიის პოზიციას. შესაბამისად, იგი თანამდებობიდან გადაყენებული იყო მისი რწმენის გაცხადების გამო.

მართლაც, ძნელია იმის უარყოფა, რომ მოსარჩელის აბორტთან დაკავშირებული შეხედულებები მჭიდრო კავშირშია ერთი მხრივ მის ქმედებასთან და მეორე მხრივ, თავად ქრისტიანულ რელიგიასთან, რომელსაც აბორტის საკითხზე აქვს მკვეთრი და შეუვალი პოზიცია. ამ ლოგიკით, კომისიას მოსარჩელის ქმედება უნდა ეცნო რწმენის პირდაპირ გაცხადებად. თუმცა, კომისიამ სხვა კუთხით შეხედა ამ საქმეს. მან მიიჩნია, რომ მომჩივნის თანამდებობიდან გათავისუფლებით მისი მე-9 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა საერთოდ არ იყო მომხდარი, რადგან მომჩივანმა **ვერ აჩვენა, რომ ის ზეწოლის ქვეშ მოექცა, რათა შეეცვალა საკუთარი შეხედულებები, ანდა ის, რომ მას აეკრძალა საკუთარი რწმენის გაცხადება.**

ამგვარად, რწმენის მოთხოვნებსა და ინდივიდის ქცევას შორის „მჭიდრო და პირდაპირი კავშირის" კრიტერიუმის გამოყენების იურიდიული შედეგი ხშირად არის ხოლმე რწმენის თავისუფლებაში ჩარევის უარყოფა. გამოკვეთილია მიდგომა, რომლის მიხედვითაც, რწმენის თავისუფლებაში **ჩარევა სახეზე არ არის, თუკი ინდივიდს შეუძლია სხვაგვარად გააცხადოს თავისი რწმენა.**

ზემოაღნიშნული საქმის მაგალითზე ნათელი ხდება, რომ წამოიჭრება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – რამდენად რელევანტურია, რომ რელიგიურ წინააღმდეგობასთან დაკავშირებული საქმეები უკავშირდებოდეს არა მარტო რწმენის გაცხადების თავისუფლებაში ჩარევას, არამედ რწმენის შინაგანი ასპექტების ხელყოფასაც.

FORUM INTERNUM თუ FORUM EXTERNUM?

არცთუ იოლი საკითხია, რწმენის/რელიგიის თავისუფლების რომელ კომპონენტს უკავშირდება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის შემთხვევები.

ზემოაღნიშნული საქმეები მოწმობს, რომ ინდივიდის ქმედება განიხილება რწმენის „გაცხადების" კონტექსტში და, მაშასადამე, როგორც forum externum. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ჩარევის გამართლება, ვინაიდან რწმენის forum internum კომპონენტები ხომ აბსოლუტური დაცვით სარგებლობს. თუმცა იგივე საქმეები მოწმობს, რომ მხოლოდ რწმენის „გაცხადების" საკითხებით არ ამოიწურება თემა და forum internum კომპონენტებიც საკმარისი ხვედრითი წილით მონაწილეობს ღირებულებათა კონფლიქტებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ.

ერთი მხრივ, ცხადია, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, ჩვეულებრივ, გამოიხატება გარკვეული კანონისმიერი ან სხვაგვარი ვალდებულების შესრულებაზე უარით შესაბამისი რწმენიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით,

33 *იქვე*, პარ. 30.

34 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1974 წლის 20 დეკემბრის განჩინება საქმეზე, X. v. the United Kingdom. იხ. http://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":["001-74994"]}

35 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1985 წლის 8 მარტის განჩინება საქმეზე, Knudsen v. Norway. იხ. http://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":["001-73733"]}

უარი, მიუხედავად იმისა, რომ უმოქმედობას გულისხმობს, უთუოდ წარმოადგენს რწმენის „გაცხადებას“. მაგრამ, რელიგიური/რწმენიდან გამომდინარე წინააღმდეგობის ბუნება უფრო ღრმაა და გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება.

საქმე ისაა, რომ წინააღმდეგობის საქმეებისათვის დამახასიათებელია შემდეგი: ესა თუ ის კანონი, წესი, რეგულაცია ინდივიდს ავალდებულებს გარკვეულ ქმედებას, ქცევას, რომლისადმიც მას გააჩნია წინააღმდეგობა, შინაგანი უთანხმოება თავისი რწმენის გამო. იმავდროულად, **ინდივიდის მიერ ამ ვალდებულების/ რეგულაციის შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს რამე ნეგატიური შედეგი მის მიმართ (პასუხისმგებლობა, სამსახურის დაკარგვა, ა.შ.). ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ჩაყენებულია ისეთ მდგომარეობაში, როდესაც იძულებულია ან იმოქმედოს თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ მოსალოდნელი სანქციების ასაცილებლად, ანდა დარჩეს თავისი რწმენის ერთგული, მაგრამ იწვნიოს თავის ქცევის ნეგატიური შედეგები. შესაბამისად, ასეთ დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პიროვნებას არ ათავისუფლებენ ვალდებულებისაგან, ძნელია იმის უარყოფა, რომ ინტერვენციის ობიექტია პიროვნების შინაგანი რწმენა – forum internum, ანუ, მისი სულიერი სიმშვიდე, საკუთრივ უფლება – სწამდეს რაიმე და არ ექვემდებარებოდეს ამისათვის რაიმე სანქციებს, იცხოვროს თავის რწმენის შესაბამისად, ინარჩუნებდეს რელიგიურ სიმშვიდეს, და არავინ თხოულობდეს მისგან ისეთ ქმედებას, რომელიც მის რწმენაზე უარის თქმას, მისი მოთხოვნების შეუსრულებლობას გულისხმობს.**

ვფიქრობ, ნათელია, რომ რწმენის საფუძველზე წარმოშობილი წინააღმდეგობის ზოგიერთ შემთხვევაში, **ძალიან მკრთალი და პირობითია მიჯნები რწმენის forum internum და forum externum კომპონენტებს შორის და, იოლად უარსაყოფი არ არის, რომ forum internum, გარკვეული ხვედრითი წილით, ასევე არის ინტერვენციის საგანი.**

შემთხვევითი არ არის, რომ სასამართლოები რელიგიური წინააღმდეგობის საქმეებზე აუცილებლად მიიჩნევენ გაარკვიონ, ხომ არ არის ჩაყენებული პირი ისეთ მდგომარეობაში, როდესაც იძულებულია უარი თქვას თავის რწმენაზე მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, აშშ-ის სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, რწმენიდან გამომდინარე წინააღმდეგობის საქმეებზე ინდივიდისათვის დაკისრებული ტვირთის შეფასებისას უნდა გაირკვეს: **ხომ არ გააჩნდა სახელმწიფოს ქმედებას ისეთი ეფექტი, რომელიც გავლენას ახდენდა მორწმუნის ქმედებაზე იმგვარად, რომ აიძულებდა მას თავისი რელიგიური რწმენის დარღვევას.**[36] პრაქტიკულად იგივე ქრილი გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ზემოთ მითითებულ საქმეში *Knudsen v. Norway,* როდესაც დაასკვნა, რომ ვერ დადგინდა, რომ „მომჩივანი ზეწოლის ქვეშ მოექცა, რათა შეეცვალა საკუთარი შეხედულებები“. ეს სხვა არაფერია, თუ არა იმის თქმა, რომ მომჩივნის რელიგიის თავისუფლების forum internum კომპონენტებში ჩარევა არ მომხდარა. შესაბამისად, თუ დადგინდებოდა რომ მოხდა, მაშასადამე, სწორედ forum internum იქნებოდა ხელყოფის საგანი.

ამ თვალსაზრისით, ძალზე საგულისხმოა საქმე ***Bascarini and others v. San Marino***, რომელიც შეეხებოდა პარლამენტის წევრის ვალდებულებას, პარლამენტში თავისი ადგილის დაკავებამდე დაეფიცებინა ქრისტიანულ ბიბლიაზე. ვინაიდან ფიცის დადებისას მომჩივანს მოუწევდა ემოქმედა თავის რწმენის საწინააღმდეგოდ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ფიცის დადების მოთხოვნა შეთავსებადი არ იყო კონვენციის მე-9 მუხლთან; თუმცა, საქმეც ისაა, რომ **მან თავი შეიკავა ზუსტად განემარტებინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმე სწორედ შინაგან თავისუფლებაში ჩარევას შეეხებოდა.** მან მხოლოდ ზოგადად მიუთითა, რომ ამგვარი წესის არსებობა „არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.[37]

გარდა ამისა, საკითხს სხვა რაკურსითაც შეგვიძლია შევხედოთ: როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ვალდებულების შესრულებაზე უარი მართლაც შეგვიძლია განვიხილოთ რწმენის გაცხადებად, მაგრამ როდესაც პირი იძულებულია უარი თქვას თავის რწმენაზე, ანდა არ ასრულებს რაიმე მოთხოვნას სანქციების თავიდან აცილების შიშით, განა ამ დროს მას რწმენის გაცხადების უფლება ეზღუდება, თუ თავად ის უფლება, გააჩნდეს ასეა თუ ის რწმენა და დარჩეს მისი ერთგული?

ეს თემა მჭიდროდ უკავშირდება შინაარსობრივად ნეიტრალური ნორმებიდან გამომდინარე ვალდებულებებს და ინდივიდისათვის დაკისრებული ტვირთის თემებს, რომლებიც ქვემოთაა განხილული.

---

36 აშშ-ს სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Hernandez v. Northside Indep. Sch. Distr; United States District Court , Western District of Texas, San Antonio Division, 08/01/2013; https://www.rutherford.org/files_images/general/01-08-2013_Hernandez_Ruling.pdf

37 1999-1, 30 EHRR 208, para 39 GC.

ჩარევა ნეიტრალური კანონის საფუძველზე?

რელიგიურ წინააღმდეგობასთან დაკავშირებული საქმეები ძალზე სპეციფიკურია კიდევ ერთი ნიშნით. საქმეთა უმრავლესობა მოწმობს, რომ რწმენიდან გამომდინარე წინააღმდეგობა წარმოიშობა გარკვეული ვალდებულებების მიმართ, რომლებიც ინდივიდს ეკისრება **მთლიანად ნეიტრალური ნორმების საფუძველზე**, რომლებიც, იმავდროულად, სრულიადაც არ უკავშირდება რელიგიისა და რწმენის საკითხებს, და, მაშასადამე, *prima facie,* რთულად შეიძლება გულისხმობდნენ (თუნდაც ჰიპოთეტიურ) ჩარევას რწმენის თავისუფლების გნებავთ – Forum internum, და გნებავთ – Forum externum კომპონენტებში;

ასე შეგვიძლია დავსვათ საკითხი: **შეიძლება თუ არა, შინაარსობრივად ნეიტრალური კანონი, რომელიც პირდაპირ არ შეეხება რწმენის თავისუფლების საკითხებს, საერთოდ გულისხმობდეს ამ თავისუფლებაში ჩარევას. ხომ არა გვაქვს ასეთ დროს საქმე ისეთ ვითარებასთან, როცა საკითხი მხოლოდ პოზიტიური ვალდებულებების ქრილში შეიძლება განვიხილოთ.**

საქმეების მაგალითზე ვნახავთ, რომ სასამართლოების მიერ არაერთხელ იქნა უარყოფილი სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური ვალდებულების დარღვევა. თუმცა, მიდგომები მაინც არ არის ერთგვაროვანი.

იმისათვის, რომ ღრმად და კომპლექსურად გავიაზროთ თემა, შემდეგ კვეთაშიც უნდა შევხედოთ მას: სად უნდა ვეძიოთ „ჩარევა" – კანონით, წესით, რეგულაციით რაიმე ვალდებულების დაკისრებაში (რაც სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ მართლაც გულისხმობდეს რწმენის თავისუფლებაში ჩარევას), თუ ამ ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლებაზე უარში, ცხადია მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება ვალდებულების შემსრულებლის რწმენიდან გამომდინარე შეუთავსებლობა ამ ვალდებულებასთან. უნდა გაეცეს პასუხი კითხვას – **რით გამოიხატება სახელმწიფოს ბრალი – იმით, რომ არ განჭვრიტა რწმენიდან გამომდინარე წინააღმდეგობის წარმოშობის ალბათობა და არ გაითვალისწინა ნორმიდან გამონაკლისები თუ მხოლოდ იმით, რომ, პოსტ ფაქტუმ არ იმოქმედა ინდივიდის ინტერესების შესაბამისად.** აქ იმავდროულად მუდამ იქნება გასათვალისწინებელი, აგრეთვე ის, **შესაძლებელი იყო თუ არა მოსალოდნელი წინააღმდეგობის განჭვრეტა და, კიდევაც რომ ყოფილიყო ამგვარი განჭვრეტა შესაძლებელი, იქნებოდა თუ არა გამონაკლისების დაწესება ყოველთვის გონივრული.** საქმეები მოწმობს, რომ გამონაკლისების დაწესება ყოველთვის არ ჩაითვალა გონივრულად; ზოგადი ხასიათის ნეიტრალური ნორმების ლეგიტიმური მიზნები მიჩნეულ იქნა უფრო მნიშვნელოვნად და გადამწონად რელიგიურ და რწმენასთან დაკავშირებულ მოტივებთან შედარებით.

აშშ-ს სასამართლოების შესაბამისი პრაქტიკა

ერთი მხრივ, ირკვევა, რომ რეგულაციის ნეიტრალურობა განსაზღვრავს, თუ შეფასების რა ტესტი იქნება გამოყენებული. სასამართლოები მიიჩნევენ, რომ **ზოგადი ხასიათის ნორმები, რომლებსაც მხოლოდ გვერდითი ეფექტი აქვთ რელიგიის თავისუფლებაზე, არ საჭიროებს მკაცრი ტესტით შეფასებას;** რომ ასეთ დროს **საკმარისია რაციონალური ტესტის გამოყენება** და სასამართლოს მხრიდან იმაში დარწმუნება, რომ ეს ნეიტრალური რეგულაცია რაციონალურ კავშირშია დასახულ ლეგიტიმურ მიზნებთან. **სადავო ნორმა კონსტიტუციურად მიიჩნევა, თუკი ის რაციონალურად უკავშირდება სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესს.**[38]

ცალკე საკითხია, თუ როგორ ახორციელებენ სასამართლოები იმის ანალიზს, ხდება თუ არა ზოგადი ნორმებით რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა[39].

იმისათვის, რომ დადგინდეს, მოხდა თუ არა სახელმწიფოს ზოგადი ნორმებით რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა, აშშ-ს სასამართლოები ძირითადად ამოწმებენ შემდეგ საკითხებს:

- გააჩნია თუ არა პირს გულწრფელი რელიგიური მრწამსი;
- წარმოადგენს თუ არა სადავო ნორმა მნიშვნელოვან ტვირთს პირის რელიგიური თავისუფლებისთვის;

---

38 მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიური მოსაზრებები არ ათავისუფლებს ადამიანს ვალდებულებისაგან, დაემორჩილოს პოლიგამიის, ბავშვთა შრომისა თუ კვირაობით მუშაობის კანონით აკრძალვებს, ანდა კანონს, რომელიც ადგენს სოციალური უსაფრთხოების გადასახადის ვალდებულებას.

39 ჯერ კიდევ თომას ჯეფერსონმა გაავლო მკვეთრი ზღვარი რწმენასა და ამ რწმენის ამსახველ ქმედებას შორის. მისი თქმით, პირველი მათგანი (რწმენა) მხოლოდ ადამიანსა და მის ღმერთს შორისაა, შესაბამისად, საკანონმდებლო ხელისუფლება შეიძლება არეგულირებდეს მხოლოდ ქმედებას და არა შეხედულებებს.

- არის თუ არა ეს ტვირთი საკმარისი იმისთვის, რომ გადაწონოს სახელმწიფოს ინტერესი – გამოიყენოს ნორმა ბლანკეტურად – გამონაკლისების გარეშე.[40]

თუმცა, საქმეების ანალიზი მოწმობს, რომ **ზოგ შემთხვევაში, რეგულაციის ნეიტრალურობა გამორიცხავს უფლებაში ჩარევას; ზოგჯერ უარყოფილი არ არის ნეიტრალური რეგულაციით რწმენის თავისუფლებისათვის ზიანის მიყენება, თუმცა, შეზღუდვა გამართლებულად ფასდება, რაკიღა გამოიყენება რაციონალური და არა მკაცრი შეფასების ტესტი. ზოგჯერ კი, რეგულაციის ნეიტრალურობის მიუხედავად, საკითხი რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ წყდება ტვირთის სიმძიმიდან გამომდინარე.**

მაგალითად, საქმეში ***Wisconsin v.*** Yoder[41] აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ვისკონსინის შტატის კანონი, რომლის საფუძველზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცნენ სკოლის მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც უარს აცხადებდნენ საკუთარი შვილების სკოლის დამამთავრებელ კლასებში მიყვანაზე. სადავო ნორმის თანახმად, ბავშვებისთვის სკოლაში სიარული 16 წლამდე სავალდებულო იყო. ნორმა გასაჩივრდა ბავშვების მშობლების მიერ, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ამიშების რელიგიას და რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ზოგადი ხასიათის ნორმა ეწინააღმდეგებოდა მათი რელიგიის თავისუფლებას. ამიშების რწმენით, დამამთავრებელი კლასის განათლება არა თუ საჭირო არ იყო, ეწინააღმდეგებოდა კიდეც მათ რელიგიას. როგორც ვხედავთ, არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმა შინაარსობრივად ნეიტრალური ხასიათის იყო, მაგრამ მიჩნეულ იქნა, რომ მის მიმართ მორწმუნეებს გულწრფელი რელიგიური წინააღმდეგობა გააჩნდათ; რომ იგი გულისხმობდა ჩარევას მათი რელიგიის თავისუფლებაში და მნიშვნელოვან ტვირთს აკისრებდა მათ. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა ლოგიკურად იმაზე მიანიშნებს, რომ ამიშების რელიგია კანონმდებელს წინდაწინვე უნდა გაეთვალისწინებინა და დაეწესებინა მათთვის გამონაკლისი. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმის განჭვრეტა, რომ ამიშებს ექნებოდათ კანონთან წინააღმდეგობა, შესაძლებელი იყო. თუმცა, ამავდროულად, სავარაუდოა, რომ ვერდიქტი სხვაგვარი იქნებოდა, რომ არა მშობლების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აშკარაა რომ ამ საქმეში „ჩარევად" განხილული იქნა სწორედ მშობელთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება და არა საკუთრივ ნორმა, რომელიც 16 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს ავალდებულებდა სკოლაში სიარულს და არ ითვალისწინებდა გამონაკლისს ამიშებისათვის. საკითხავი ისაა, ასეთი მკაცრი სანქციის გარეშე იქნებოდა თუ არა მიჩნეული „ჩარევად" საკუთრივ კანონი, ვალდებულების შემცველი ნორმა. რელიგიური წინააღმდეგობა ხომ ამიშებს სწორედ სკოლაში სიარულის ვალდებულებასთან მიმართებაში გააჩნდათ.

ზემოთ მითითებული საქმე ***U.S. Equal Employment Opportunity Commission v. Consol Energy, INC***[42], რომელიც შეხებოდა ქვანახშირის კომპანიაში შემოღებულ თითის ანაბეჭდის ბიომეტრიული სკანირების სისტემას, ასევე უკავშირდებოდა შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულირებას. მოსარჩელეც სწორედ იმას აპროტესტებდა, რომ საერთო რეგულაციიდან მისთვის არ დაუშვეს გამონაკლისი და არ გაათავისუფლეს ხელის საკანირების ვალდებულებისაგან.

ამ საქმეში აშშ-ს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება ვერ უზრუნველყოფდა გონივრულ გარემოს კეთილსინდისიერი რელიგიური წინააღმდეგობის მქონე პირისთვის, რითაც, თითქოსდა არ უარყო ნეიტრალური რეგულაციით რელიგიის თავისფლებაში ჩარევის ფაქტი. მეორე მხრივ, აღნიშნა, რომ მოსარჩელისათვის უარის თქმა ნეიტრალური რეგულაციიდან გამონაკლისის დაწესებაზე გამართლებული ვეღარ იქნებოდა ისეთ პირობებში, როდესაც სხვა ორი მუშაკისათვის (ხელის დაზიანების გამო) უკვე იყო ასეთი გამონაკლისი დაწესებული. ამგვარად, ამ საქმეში, ასევე არ გამართლდა ნეიტრალური რეგულაციიდან გამონაკლისების არარსებობა და კვლავ რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყდა საკითხი.

თუმცა, საქმეში ***Bowen v. Roy,*** რომელიც ასევე ნეიტრალურ ნორმას – ყველასათვის სოციალური უზრუნველყოფის ნომრის მინიჭებას – შეეხებოდა, საერთოდ უარყოფილ იქნა რელიგიის თავისუფლებაში ჩარევის ფაქტი, ხოლო არგუმენტებად მოხმობილი იყო სწორედ ნორმის ნეიტრალური ხასიათი და იმ მიზანთა ლეგიტიმურობა, რომლებსაც ეს კანონი ემსახურე-

40 იხ. მაგ. Quaring v. Peterson, 728 F.2d 1121 (8th Cir. 1984).

41 Wisconsin v. Yoder, 406 US 205 (1972).

42 United States Court of Appeals of Fourth Circuit, 16-12-30, 12/06/2017. http://www.ca4.uscourts.gov/Opinions/Published/161230.P.pdf

ბოდა. სასამართლოს ზრით, **სწორედ მიზანთა დიდი მნიშვნელობის გამო, მოსარჩელისათვის გაამონაკლისის დაწესება ვერ იქნებოდა გამართლებული**. ვფიქრობ, ამ საქმეში **გადამწყვეტი გახდა ის გარემოება, რომ საქმე შეეხებოდა სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებს და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ადმინისტრირებას, რაშიც სახელმწიფოს დიდი მიხედულების ფარგლები გააჩნდა.** ამ საქმეზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გააკეთა ძალზე საგულისხმო განმარტებები.

კერძოდ, მოსარჩელე იღებდა ოჯახისა და შვილებისთვის სახელმწიფო დახმარებას. თუმცა, ამ დახმარების მიღების წინაპირობა შემდგომში გახდა სოციალური უზრუნველყოფის ნომრის ფლობა. მან უარი განაცხადა მისი ქალიშვილისთვის – „თოვლის პატარა ჩიტისთვის", მიენიჭებინათ ასეთი ნომერი, ვინაიდან ამას რელიგიური გრძნობების შელახვად მიიჩნევდა. ამის გამო მას შეუჩერეს სოციალური დახმარება. მოსარჩელე არ ამტკიცებდა იმას, რომ აღნიშნული ნორმები ზღუდავდნენ მის რწმენას ანდა უზღუდავდენ მას იმის გაკეთებას, რისიც სწამდა. იგი უბრალოდ მიიჩნევდა, რომ რიცხვის მინიჭება ზიანს აყენებს მისი ქალიშვილის სულს. მოსარჩლეები ნორმის კონსტიტუციურობას სადავოდ ხდიდნენ ორი ასპექტით: რომ ეს წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან მათ იძულებას, აეღოთ სოციალური უზრუნველყოფის ნომერი (ა) და რომ შემდგომში მოხდებოდა სახელმწიფოს მიერ ამ ნომრის შემდგომში დამუშავება და გამოყენება (ბ).

სასამართლომ აღნიშნა, რომ რელიგიის თვისუფლების საქმეებზე არსებული პრაქტიკა ანსხვავებდა: ინდივიდუალური პირის შინაგანი რწმენის თავისუფლებას, რომელიც აბსოლუტური იყო, და პირის ინდივიდუალური ქცევის თავისუფლებას, რომელიც არ იყო აბსოლუტური. აღნიშნული შემთხვევა მხოლოდ მეორე მათგანს მიემართებოდა.

კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ფედერალური მთავრობის მიერ სოციალური უზრუნველყოფის ნომრის გამოყენება **იმთავითვე არ წარმოადგენდა რაიმე ხარისხით მომჩივნის რელიგიის თავისუფლების შესუსტებას, შელახვას**. მოსარჩელე თავადაც არ ამტკიცებდა იმას, რომ აღნიშნული ნორმები ზღუდავდნენ მის რწმენას ანდა უზღუდავდენ მას იმის გაკეთებას, რისიც სწამდა. იგი უბრალოდ მიიჩნევდა, რომ რიცხვის მინიჭება ზიანს აყენებდა მისი ქალიშვილის სულს. წესი ნომრის მინიჭებს შესახებ წარმოადგენდა მთლიანად ნეიტრალური შინაარსის ნორმას, რომელსაც საყოველთაო ხასიათი გააჩნდა, გათვლილი იყო უკლებლივ ყველა პირზე და არ არსებობდა არცერთი საჩივარი, რომ ვინმეს იგი ენიჭებოდა დისკრიმინაციულად. იმავდროულად, ნომრის მინიჭება ემსახურებოდა იმას, რომ სახელმწიფოსგან პირებს მიეღოთ გარკვეული ბენეფიტები, რომლის აუღებლობის შემთხვევაშიც გათვალისწინებული არ იყო რაიმე სანქცია. **სახელმწიფო კი არ აიძულებდა პირს, აუცილებლად აეღო სოციალური უზრუნველყოფის ნომერი, არამედ აპელანტი თავად ითხოვდა სახელმწიფოსგან გარკვეულ ბენეფიტს, კერძოდ, სოციალურ უზრუნველყოფას** და, რელიგიური მოტივით უარს ამბობდა მისი მიღების ერთ-ერთი წინაპირობის – სოციალური უზრუნველყოფის ნომრის – მინიჭებაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ **დაუშვებელი იყო რელიგიის თავისუფლების მუხლი გაგებული ყოფილიყო სახელმწიფოს ვალდებულებად, მოქცეულიყო ყველა პირის შინაგანი რელიგიური რწმენის შესაბამისად. მოქალაქის რელიგიის თავისულფლება არ ვრცელდებოდა ისე შორს, რომ სახელმწიფო ჩაება თავის რელიგიურ პრაქტიკაში და უარი ეთქმევინებინა სოციალური უზრუნველყოფის ნომრის მინიჭებაზე. პირველი შესწორების მუხლი დაწერილი იყო იმ სულისკვეთებით, თუ რა არ შეიძლებოდა სახელმწიფოს მოეთხოვა ინდივიდისათვის, და არა იმ მოტივით, თუ რისი გამოტყუება შეეძლო ინდივიდს სახელმწიფოსათვის.**

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს იმდენად ჰქონდა უფლება წინააღმდეგობა ჰქონოდა სახელმწიფოს მიერ გაცემულ სოციალური უზრუნველყოფის ნომერზე მისი ქალიშვილის მიმართ, რამდენადაც, მას შესაძლოა ჰქონოდა რელიგიური წინააღმდეგობა ადმინისტრაციული ორგანოს ავეჯის ზომასა და ფერზე. **პირველი შესწორება მოქალაქეს იცავდა სახელმწიფოს იძულებისგან და არ ანიჭებდა მას უფლებას ეკარნახა სახელმწიფოსათვის, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი თავისი საშინაო ადმინისტრირების პროცედურებში.** შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა, რომ მთავრობას არ გამოეყენებინა მსგავსი სოციალური უზრუნველყოფის ნომერი მისი ქალიშვილის მიმართ, უსაფუძვლო იყო.

სასამართლომ აგრეთვე განიხილა სარჩელის მეორე ასპექტი – **სოციალური უზრუნველყოფის ნომრის აღების ვალდებულება გარკვეული ბენეფიტების მინიჭებისთვის.** სასამართლომ თქვა, რომ ინფორმაციის დამუშავებისგან განსხვავებით, ნომრის აღების ვალდებულება შესაძლოა წარმოადგენდა ტვირთს რელიგიის

თავისუფლებისათვის, თუმცა უნდა შეფასებულიყო, გადაწონიდა თუ არა ის საჯარო ინტერესებს, ვინაიდან ყველა შეზღუდვა იმთავითვე არაკონსტიტუციური როდი იყო. სასამართლომ არ დაადგინა ნორმის არაკონსტიტუციურობა.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ მიიჩნია, რომ პლურალისტურ საზოგადოებაში არსებული რწმენის თავისუფლება და მთავრობის საჭიროებები მოითხოვდა გარკვეულ დაბალანსებას, **რა დროსაც გარკვეული ნეიტრალური შეზღუდვების წარმოშობა რელიგიის თავისუფლების განხორციელებაზე გარდაუვალი იყო.** საკანონმდებლო დონეზე ალბათ შესაძლებელი იყო კანონმდებელს დაეშვა რელიგიური ხასიათის კომპრომისები, თუმცა, ამ საქმეში სასამართლოს შესაფასებელი იყო მხოლოდ რეგულაციის კონსტიტუციური ფარგლები და არა კანონმდებლის სიბრძნე. მართალია, სოციალური უზრუნველყოფის ნომრის აუღებლობა აფერხებდა ადამიანს ჩაბმული ყოფილიყო აქტიურ სამოქალაქო ცხოვრებაში, მიეღოს ბენეფიტები სახელმწიფოსგან, **თუმცა ის მაინც ვერ შეფასდებოდა მასშტაბურად, როგორც სახელმწიფოს მხრიდან განხორცილებული რაიმე იძულება.** ამდენად, ამ შემთხვევაში, მკაცრი ტესტის გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი. ვინაიდან არ იკვეთებოდა რელიგიურ ჯგუფების დისკრიმინაციის ნიშნები, სახელმწიფოს ინტერესი დასაბუთებულად ჩაითვლებოდა, თუკი სახელწიფო შემწეობისთვის დაწესებული მოთხოვნები, თავისი მისი არსით იყო ნეიტრალური და საყოველთაო, და წარმოადგენდა გონივრულ საშუალებას ლეგიტიმური საჯარო მიზნის მიღწევისთვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალური უზრუნველყოფის ნომრების მიზანს წარმოადგენდა ბენეფიტების გაცემის პროცესში გაყალბებების თავიდან აცილება. სოციალურ პროგრამებთან მიმართებით სახელმწიფოს გააჩნდა შეზღუდული რესურსები, რომელიც ეფექტურად უნდა ყოფილიყო განაწილებული საზოგადოებაში და, შესაბამისად, სწორედ ამ ნომრების მინიჭებით წარმოშობილი სიზუსტე და აკურატულობა უზრუნველყოფდა სახელმწიფო რესურსების ეფექტურ გადანაწილებას. ამავდროულად, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება წარმოადგენდა მილიონობით ოჯახის შესახებ ინფორმაციის დამუშავების ეფექტურ მექანიზმს, რაც შესაძლოა განხორციელებულიყო კომპიუტერის დახმარებით და რაც შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ მოქალაქეთა სახელის მითითების შემთხვევაში. **სასამართლოს დადგენილად მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოსარჩელისთვის ნეიტრალური ხასიათის რეგულაციიდან გამონაკლისის დაშვებაზე უარის თქმა არ არღვევდა მისი რელიგიის თავისუფლებას.**

1990 წლიდან აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში ზოგად ნორმებსა და რელიგიის თავისუფლებას შორის კონფლიქტის სფეროში წამყვან პრეცედენტად განიხილება აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „*Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith*[43]." ეს საქმე შეხებოდა ინდიელებს, რომლებიც ვერ იღებდნენენ უმუშევრობის შეწყალებას იმის გამო, რომ სამსახურიდან გათავისუფლებულნი იყვნენ ჰალუცინოგენური მცენარის – პეიოტის – მოხმარებისთვის, მაშინ როდესაც, პეიოტის მოხმარება ინდიელების რელიგიური რიტუალის შემადგენელი ნაწილს წარმოადგენდა. მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ მათი მოქმედებები რელიგიური მრწამსით იყო ნაკარნახევი და უნდა ჩათვლილიყო საპატიო გარემოებად.

გადაწყვეტილებაში ითქვა, რომ **ზოგადი ხასიათის ნორმები, რომლებსაც გვერდითი ეფექტი აქვთ რელიგიის თავისუფლებაზე, არ საჭიროებდა მკაცრი ტესტის გამოყენებას**. მოსამართლე სკალიამ, რომელიც უმრავლესობის სახელით წერდა გადაწყვეტილებას, აღნიშნა, რომ **პირის ვალდებულება, დაემორჩილოს მხოლოდ იმ კანონს, რომელიც თავსებადია მის რწმენასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დაუძლეველი სახელწიფო ინტერესი, იგივეა, რაც ადამიანის მიერ თავისივე თავის კანონად გამოცხადება, რაც ეწინააღმდეგება როგორც კონსტიტუციურ ღირებულებებს, ისე საღ აზრს.**

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ზოგადი ხასიათის ნორმებსა და რელიგიის თავისუფლებას შორის კონფლიქტები ფასდება **ნორმის შეფასების ყველაზე დაბალი – რაციონალური დიფერენციაციის ტესტით.[44]** თუმცა, ძველი პრეცედენტებიც ინარჩუნებენ თავიანთ გავლენას. მიჩნეულია რომ სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს პირის რელიგიის თავისუფლება დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესის გარეშე.[45]

ამ პრეცედენტის შემდეგ, ფედერალურ კონსტიტუციასთან მიმართებაში წარმოშობილი კო-

43 Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith, 494 US 872 (1990).

44 იხ. მაგ. Valov v. Dep't of Motor Vehicles, 132 Cal. App. 4th 1113, 1125 (Cal. Ct. App. 2005). ანალიზისთვის იხ. Cynthia Brougher, Legal analysis of religious exemptions for photo identifications requirements, CRS Reoirt for Congress, 2, (2012).

45 იხ. City of Boerne v. Flores, 521 U.S. 507 (1997).

ნსტიტუციური დავების დროს, რომლებიც შეეხება კონფლიქტს ზოგად ნორმებსა და რელიგიის თავისუფლებას შორის, აშშ-ის სასამართლოები იყენებენ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, **სახელმწიფოს გააჩნია თავისუფალი მიხედულების დიდი ფარგლები იმგვარი ზოგადი ნორმების შემუშავებისას, რომლებსაც მხოლოდ გვერდითი ეფექტი აქვს რელიგიის თავისუფლებაზე;** გამოიყენება რაციონალური ტესტი და, შესაბამისად, როგორ წესი, ასეთი ნორმები კონსტიტუციურად არის მიჩნეული. თუმცა, დამკვიდრდა ისეთი მიდგომაც, სადაც სასამართლოები ორივე (მკაცრი და რაციონალური) ტესტით ახორციელებენ შეფასებას. ამის მაგალითია ქვემორე საქმე, სადაც რელიგიის თავისუფლებაში ჩარევის ფაქტი არ იქნა უარყოფილი, მაგრამ საკითხი მაინც არ გადაწყდა მის სასარგებლოდ.

ვგულისხმობ საქმეს ***Hernandez v. Northside Indep. Sch. Distr.***[46] სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, წლების განმავლობაში სტუდენტები და მომუშავე პერსონალი ატარებდნენ ბეიჯებს, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა მათი იდენტიფიცირება და კამპუსის ტერიტორიაზე მათი ყოფნის დადასტურება. მოგვიანებით, სკოლამ, სტუდენტთა უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით, შეიმუშავა ახალი საიდენტიფიკაციო ბეიჯები, რომელსაც პერსონალურ ინფორმაციასთან ერთად, დატანებული ჰქონდა რადიოსიხშირის მაიდენტიფიცირებელი ჩიპი. აღნიშნული ჩიპიანი ბეიჯი უზრუნველყოფდა სტუდენტების ადგილსამყოფელის დადგენას მხოლოდ კამპუსის მასშტაბით. ბეიჯი ასევე გამოიყენებოდა შენობაში შესასვლელად, ბიბლიოთეკიდან წიგნების გასატანად, კაფეტერიაში და ბილეთების საყიდლად. ერთ-ერთი სტუდენტის მშობლის აზრით, ჩიპიანი ბეიჯი წარმოადგენდა „მხეცის ნიშანს“, რაც საფრთხეს უქმნიდა მათ რელიგიურ თავისუფლებას, უქადდა გზას ჯოჯოხეთის ცეცხლისკენ, არღვევდა მათ პირად სივრცეს. მან მოითხოვა, ნება დაერთოთ მისი ქალიშვილსათვის, ეტარებინა ძველი ბეიჯი. სკოლის დირექტორმა მოსარჩელის შვილს შესთავაზა ეტარებინა აღნიშნული ბეიჯის მსგავსი მაიდენტიფიცირებელი ბარათი, ოღონდ ჩიპის გარეშე, თუმცა მოსარჩელემ ეს შეთავაზება არ მიიღო. მისი აზრით, თავად მაიდენტიფიცირებელი ბარათების სისტემა ეწინააღმდეგებოდა რელიგიას; ჩიპიანი ბარათების ტარება თავისუფლების დაკარგვას და სულის გაყიდვას ნიშნავდა. რელიგიური მოძღვრების თანახმად, ანტიქრისტეს მიზანს წარმოადგენდა ადამიანებზე სრული კონტროლის მოპოვება; „სმარტ ბეიჯში“ ჩამონტაჟებული ჩიპი კი ასახავდა მოსწავლეების გადაადგილებას და მათ თითოეულ ნაბიჯს სკოლაში. კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებული რელიგიური რწმენის გაცხადების თავისუფლება დაირღვეოდა, თუკი ის იძულებული იქნებოდა ეტარებინა ჭკვიანი ჩიპიანი ID ბეიჯი. იგი ითხოვდა სკოლაში ჩიპიანი საპილოტე პროგრამის გაუქმებას. აღნიშნული მოთხოვნა სკოლამ არ დააკმაყოფილა.

სასამართლომ საქმე შეაფასა აშშ-ს კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან მიმართებაში და დაადგინა, რომ რელიგიის თავისუფლების მუხლი დარღვეული არ იყო. სასამართლომ თქვა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკმარისი იყო რაციონალური ტესტი, თუმცა, იგი საქმეს შეაფასებდა მკაცრი ტესტის ფარგლებშიც, რათა დაედგინა, ჰქონდა თუ არა სარჩელს რაიმე პერსპექტივა ამ შემთხვევაში.

სასამართლომ მიუთითა, რომ საზოგადოდ, მკაცრი შეფასების ტესტის ფარგლებში, გადამწყვეტი იყო იმის შეფასება, **დააკისრა თუ არა სახელმწიფომ სერიოზული ტვირთი ფუნდამენტური რელიგიური რწმენის ან პრაქტიკის განხორციელებას, და თუ დააკისრა, გამართლებული იყო თუ არა ეს ტვირთი მყარი და მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესით.** თუმცა, **როდესაც საქმე შეხებოდა სახელმწიფოს მიერ ნეიტრალური შინაარსისა და საერთო გამოყენების რეგულაციის დადგენას, საჭირო აღარ იყო ღონისძიების გამართლება მყარი საჯარო ინტერესით, თუნდაც კანონს ჰქონოდა ცალკეულ რელიგიურ პრაქტიკაზე ნეგატიური ეფექტი. საკმარისი იყო, რეგულაცია რაციონალურ მიმართებაში ყოფილიყო ლეგიტიმურ საჯარო ინტერესთან, იმისათვის, რათა შეზღუდვა კონსტიტუციურად მიჩნეულიყო.**

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სკოლაში შემოღებულ სავალდებულო წესს, რომლის თანახმადაც, ყველა სტუდენტი ვალდებული იყო ეტარებინა ჭკვიანი ჩიპიანი ბეიჯი, მათივე იდენტიფიკაციის, უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით. ამდენად, აღნიშნული რეგულაცია იყო ნეიტრალური და გამოყენებადი ყველა სტუდენტის მიმართ, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო რაციონალური შეფასების ტესტი. თუმცა, შეზღუდვა განხილული იქნებოდა მკაცრი შეფასების ტესტითაც, რათა განსაზღვრულიყო, არსებობდა თუ არა სარჩელს დაკმაყოფილების რაიმე პერსექტივა.

46 United States District Court, Western Tistrict of Texas, San Antonio Division, 08/01/2013. https://www.rutherford.org/files_images/general/01-08-2013_Hernandez_Ruling.pdf

რაციონალური ტესტით შეფასებისას სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვა ადვილად აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს. სადავო წესი ნეიტრალური იყო როგორც მიზნის, ასევე განხორციელების თვალსაზრისით, ვინაიდან მთელი დაწესებულება, სკოლა, ემორჩილებოდა მის მოთხოვნებს. წესი ემსახურებოდა არაერთ ღირებულ მიზანს, რომლებიც საერთოდ არ იყო დაკავშირებული რელიგიასთან, რწმენასთან ან რელიგიურ პრაქტიკასთან. სკოლას გააჩნდა ლეგიტიმური საჭიროება, მარტივად უზრუნველეყო სტუდენტების იდენტიფიცირება, უსაფრთხოება, დაცვა, გაკვეთილებზე დასწრება. შესაბამისად, ბეიჯის ტარების მოთხოვნას გააჩნდა რაციონალური საფუძველი. გარდა ამისა, ID ბეიჯი სასარგებლო საშუალებას წარმოადგენდა სტუდენტებისთვისაც, ვინაიდან მისი საშულებით შესაძლებელი იყო კაფეტერიაში გადახდის განხორციელება, ბიბლიოთეკით სარგებლობა და სხვადასხვა აქტივობაზე დასწრება. ID ბარათების ერთგვაროვნება და საყოველთაობა აუცილებელობას წარმოადგენდა. კამპუსის ადმინისტრაციას და სხვებს მისი მეშვეობით შეეძლოთ სწრაფად, ერთი შეხედვით განესაზღვრათ, რომ პირი ვისაც ეკეთა ასეთი ბეიჯი, ამ კამპუსს მიეკუთვნებოდა. ბეიჯის მიზანი ფუჭი იქნებოდა, თუკი ყველა სტუდენტს შეეძლებოდა აერჩია ისეთი ბეიჯი, როგორსაც მოისურვებდა. სკოლის ბეიჯი მხოლოდ გვერდითი ეფექტს იწვევდა მოსარჩელის რელიგიური რწმენასთვის. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ტვირთი, რომელიც მოსარჩელეს დაეკისრა, სკოლის ადმინისტრაციამ მას შეუმსუბუქა, როდესაც მის ქალიშვილს უჩიპო ბარათის ტარება შესთავაზა.

მკაცრი ტესტით შეფასებისას, სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვა ასევე აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს. სასამართლოს ეჭვი არ შეუტანია მოსარჩელის გულწრფელობაში. თუმცა, მიიჩნია, რომ მან ვერ დაანახა სასამართლოს, რომ ჩიპიანი ბარათის ტარება გულისხმობდა არსებით ტვირთს მისი რელიგიური რწმენის განხორციელებისათვის. **არსებითი ტვირთი სახეზე იყო მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ქმედებას გააჩნდა ისეთი ეფექტი, რომელიც: 1. გავლენას ახდენდა მორწმუნის ქმედებაზე იმგვარად, რომ აიძულებდა მას თავისი რელიგიური რწმენის დარღვევას 2. აიძულებდა მორწმუნეს არჩევანი გაეკეთებინა, ერთი მხრივ, საზოგადოდ ხელმისაწვდომ გარკვეულ სარგებელსა და, მეორე მხრივ, რელიგიური რწმენის განხორცილებას შორის.**

ის გარემოებები, რომ ჩიპიანი ბარათის გარეშე სტუდენტი ვერ შეძლებდა კაფეტერიაში გადახდას, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანას და სხვა, **სასამართლომ არ მიიჩნია რწმენის განხორციელებაში არსებით ტვირთად.** მოსარჩელეს უბრალოდ მოეთხოვებოდა ჩიპიანი ID ბარათის ტარება და არ იყო ვალდებული პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონოდა მის მიმართ; არ იყო ვალდებული ეტარებინა იგი უშუალოდ მკერდზე ან კისერზე. მის ტარებაზე უარის შემთხვევაში, მას იოლად შეეძლო წარმოშობილი დისკომფორტის თავისივე ძალისხმევით აღმოფხვრა (სახლიდან წამოეღო საუზმე (ლანჩი), წიგნები წაეკითხა ბიბლიოთეკაშივე მათი გატანის გარეშე და ნაღდი ფულით განეხორციელებინა გადახდები). რაკი იგი ჩიპიანი ბარათის ტარებაზე თავისივე ნებით ამბობდა უარს, მას, შესაბამისად მოუწევდა მისი უქონლობით წარმოშობილი უსიამოვნებების ატანა.

მაშინაც კი, თუ მოსარჩელე დაადასტურებდა არსებით ტვირთს, სახელმწიფოს ნამდვილად ექნებოდა მყარი სახელმწიფოებრივი ინტერესი, რომელიც გადაწონიდა ამ ტვირთს. ძნელი იქნებოდა იმის უარყოფა, რომ მოსწავლეების უსაფრთხოება და დაცვა საჯარო სკოლებში ნამდვილად იყო მყარი საჯარო ინტერესი. სკოლებში მოსწავლეების უსაფრთხოებისა და დაცვის ალტერნატიულ მეთოდებს შორის ID ბარათების ტარება ნამდვილად წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველა ნაკლებად მზღუდავ საშუალებას. კიდევაც რომ დაეშვათ, რომ განსახილველ საქმეზე მკაცრი შეფასების ტესტი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მაინც უსაფუძვლო აღმოჩნდებოდა ბრალდება, თითქოს სკოლის პოლიტიკამ ვერ დააკმაყოფილა ამ ტესტის მოთხოვნები, ვინაიდან სკოლამ შესთავაზა მოსარჩელეს კომპრომისი, რომელიც მთლიანად აღმოფხვრიდა მის რელიგიურ წინააღმდეგობას ჩიპიან ბარათთან მიმართებით. მოსარჩელის იმ არგუმენტის საპასუხოდ, რომ ამგვარი ბარათით მოსწავლე სისტემის მხარდამჭერი აღმოჩნდებოდა და არ შეეწინააღმდეგებოდა ანტიქრისტეს პროპაგანდას, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი შესწორება იცავდა რელიგიურ წინააღმდეგობას და არა მის სახესხვაობებს მსგავსი ფორმებით.

ორმაგი შეფასება გაიარა აგრეთვე სადავო ნორმამ საქმეზე ***Valov v. Dep't of Motor Vehicles,*** რომელიც შეეხებოდა რელიგიურ წინააღმდეგობას ფოტოსურათის გადაღების მიმართ, რის გამოც მოსარჩელისათვის შეუძლებელი გახდა მართვის მოწმობის აღება. [47] კალიფორნიის

იხ. Valov v. Dep't of Motor Vehicles, 132 Cal. App. 4th

სააპელაციო სასამართლომ მართვის მოწმობაზე ფოტოგადაღების ვალდებულება შეაფასა **როგორც აშშ-ის კონსტიტუციასთან, ისე კალიფორნიის კონსტიტუციასთან მიმართებაში.** აშშ-ის კონსტიტუციასთან მიმართებაში გამოიყენა რაციონალური ტესტი და სადავო ნორმა, რომელიც არ აწესებდა გამონაკლისს მართვის მოწმობის ასაღებად ფოტოსურათის გადაღების ვალდებულებიდან, მიიჩნია აშშ-ს კონსტიტუციის პირველ დამატებასთან თავსებადად, ვინაიდან ნორმა იყო ნეიტრალური და რაციონალურად უკავშირდებოდა ისეთ ლეგიტიმურ ინტერესებს, როგორც იყო საგზაო მოძრაობისა უსაფრთხოება და თაღლითობის პრევენცია. შტატის კონსტიტუციით დაცულ რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებაში სასამართლომ ნორმა შეაფასა მკაცრი ტესტით და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს გააჩნდა მომეტებული ინტერესი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და წარდგენილი მტკიცებულებები ასაბუთებდა, რომ მართვის მოწმობის ფოტოსურათი წარმოადგენდა მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტურ საშუალებას.[48]

ევროპული სასამართლოს მიდგომა

აღსანიშნავია, რომ ნეიტრალურ რეგულაციებთან მიმართებაში სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა უფრო ცალსახაა. მიჩნეულია, რომ **საერთო კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება ნეიტრალურ საფუძველზე და არ გააჩნია არანაირი კავშირი მომჩივნის პიროვნულ რწმენასთან, არ შეიძლება, პრინციპულად, მიჩნეულ იქნეს მე-9 მუხლის უფლებებში ჩარევად.**

ერთ-ერთი გამორჩეული საქმეა ზემოთ მითითებული ***Skugar and others v. Russia***,[49] რომელიც შეეხებოდა საგადასახადო მონაცემთა ბაზაში გადასახადელთა გადამხდელებისათვის ნომრების მინიჭებისადმი რელიგიურ წინააღმდეგობას. სასამართლომ განმარტა, რომ ამ საქმეში მას არცკი სჭირდებოდა განესაზღვრა, წარმოადგენდა თუ არა ნომრის მინიჭებაზე უარი რწმენის პირდაპირ გამოხატვას, რადგან საჩივარი მაინც მიუღებელი იყო რელიგიის თავისუფლებაში ჩარევის არარსებობის გამო. სასამართლომ მიუთითა:

„კონვენციის ორგანოებს დადგენილი აქვთ, რომ საერთო კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება ნეიტრალურ საფუძველზე და არ გააჩნია არანაირი კავშირი მომჩივნის პიროვნულ რწმენასთან, არ შეიძლება, პრინციპულად, მიჩნეულ იქნეს მე-9 მუხლის უფლებებში ჩარევად“.

გარდა ამისა, სასამართლომ მოიხმო ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის შემდეგი დებულება გადაწყვეტილებიდან საქმეზე ***C. v. the United Kingdom:*** *„კონვენციის მე-9 მუხლი არ მოიცავს ადამიანის უფლებას, არ დაემორჩილოს კანონმდებლობას, რომელიც გამოიყენება ნეიტრალურად და ზოგადად საჯარო სფეროში მე-9 მუხლით დაცულ უფლებებთან დაჯახების გარეშე.*[50]

სტრასბურგის სასამართლომ ასევე მოიხმო აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტება, მიცემული საქმეზე ***Bowen v. Roy***, რომლის მიხედვითაც, ნეიტრალური და უნიფორმულად გამოსაყენებელი მოთხოვნების აღსრულების დროს სახელმწიფოს ფართო მიხედულება გააჩნია.

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ **არც შესაძლებელი იყო და არც მიზანშეწონილი, ამა თუ იმ რეგულაციის შემუშავებისას სახელმწიფოს ყოველთვის სრულად განექვრიტა რელიგიური წინააღმდეგობის წარმოშობის რისკები.** სასამართლოს თქმით, სახელმწიფოს, შიდა პროცედურების შემუშავებისა და განხორციელების დროს, არ შეიძლება მოეთხოვებოდეს გაითვალისწინოს, თუ როგორ და რა ფორმით მოხდება მათი ინტერპრეტაცია ინდივიდუალური მოქალაქეების მიერ თავიანთი რელიგიური რწმენის საფუძველზე/პრიზმაში.

მან შესაბამისი მნიშვნელობა მიენიჭა იმასაც, რომ ყველა შემთხვევაში, ხელისუფლების შიდა რეგულაციების სავარაუდო შეუთავსებლობა მომჩივნის რწმენასთან, წარმოადგენდა საერთო გამოყენების ნეიტრალური დებულებების არაძირითად, თანმხლებ შედეგს; თუმცა, ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევი გარემოება, რომელმაც ვფიქრობ რომ გადაწყვიტა საქმის ბედი, ის გახლდათ, რომ **საქმე შეეხებოდა სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებს.** სასამართლომ აღნიშნა, რომ ოფიციალური დოკუმენტების ან მონაცემთა ბაზების შინარსი/

1113, 1125 (Cal. Ct. App. 2005).

48 აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი ათწლეულია, რაც აშშ-ს სასამართლოები მკაცრი ტესტის გამოყენების დროსაც აღარ ადგენენ რელიგიური წინააღმდეგობის მქონე პირთა მიმართ გამონაკლისების არსებობის საჭიროებას. მაგალითისათვის იხილეთ Freeman v. Dep't of Highway Safety and Motor Vehicles, 924 So.2d 48 (Fla. Dist. Ct. App. 2006.

49 იხ. სტრასბურგის სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც საჩივარი გამოცხადდა დაუშვებლად.

50 C. v. the United Kingdom, no. 10358/83, Commission decision of 15 December 1983, D.R. 37, p. 142)

კონტენტი ვერ იქნებოდა განსაზღვრული ინდივიდუალური სურვილების მიხედვით. თუ ყველა ინდივიდს ექნებოდა უფლება ამოეღო ან დაემატებინა დოკუმენტში რაიმე ინფორმაცია, რასაც ის არასასურველად ან პირიქით, შესაბამისად მიიჩნევდა, ადმინისტრაციულ საკითხებში საქირო ერთგვაროვნება და მისი ძირითადი ფილოსოფია შელახული იქნებოდა.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახო მონაცემთა ბაზის ორგანიზაციის მეთოდი, რომელიც გულისხმობდა გადასახადელთა გადამხდელებისათვის ინდივიდუალური ნომრების მინიჭებას, არ წარმოადგენდა მომჩივნის რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას და საჩივარი აშკარად უსაფუძვლო იყო. [51]

რელიგიის თავისუფლებისათვის დაკისრებული ტვირთი

საერთო მიდგომების თანახმად, მასში იგულისხმება იმის შეფასება, თუ რა ტვირთი დაეკისრა ინდივიდის რელიგიურ გრძნობებს. მნიშვნელოვან ტვირთად განიხილება შემთხვევები, როდესაც **ესა თუ ის ნორმა აიძულებს ამა თუ იმ რწმენის/რელიგიის მიმდევარს, შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი და დაარღვიოს თავისი რელიგიური თუ ფილოსოფიური მრწამსი**.

ტვირთის მნიშვნელოვნად შეფასებისათვის, დიდი გავლენა აქვს იმ გარემოებას, წარმოადგენდა თუ არა ესა თუ ის მოთხოვნა, რომელზედაც უარის თქმა ევალებოდა ან მოუწია ინდივიდს, შესაბამისი რწმენის /რელიგიის აღიარებულ და ფუნდამენტურ პოზიციას.

მაგალითად, ერთ-ერთი პრეცედენტული საქმე – ***Sherbert v. Verner,***[52], ეხებოდა უმუშევრობის შემწეობის გაუცემლობას მე-7 დღის ადვენტისტთა ეკლესიის მიმდევრისთვის, რომელიც სამსახურიდან იქნა გათავისუფლებული იმის გამო, რომ საკუთარი რწმენის საფუძველზე უარი განაცხადა შაბათობით მუშაობაზე. **მისი რელიგია შაბათს მუშაობას კრძალავდა,** ხოლო აღნიშნული კი, კანონმდებლობის მიხედვით, საპატიო მიზეზად არ ითვლებოდა. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ხსენებული ნორმა, ვინაიდან **ეს უკანასკნელი მოსარჩელის რელიგიისთვის მნიშვნელოვან ტვირთს წარმოადგენდა,** ხოლო **სახელმწიფოს არ ჰქონდა წარმოდგენილი დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესი, თუ რატომ არ იყო გათვალისწინებული საპატიო მიზეზად პირის რელიგიური გრძნობები**.

ზემოთ მითითებულ საქმეზეც ***Wisconsin v. Yoder***, რომელიც ამიშების რელიგიურ ჯგუფს შეხებოდა, ზოგადი ხასიათის ნორმა სწორედ მათი რელიგიისადმი დაკისრებული მნიშვნელოვანი ტვირთის გამო იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი. მიჩნეულ იქნა, რომ დამამთავრებელი კლასის განათლება ეწინააღმდეგებოდა ამიშების რელიგიას და ეს ამ რელიგიის პრინციპული საკითხი იყო.

ინდივიდზე დაკისრებული ტვირთის კონტექსტში საინტერესოა **კანადის სასამართლოების პრაქტიკა.**

კანადის სასამართლოთა პრეცედენტების მიხედვით, **უმნიშვნელო ტვირთები რელიგიაზე რელიგიის თავისუფლებაში ჩარევად არ განიხილება.**[53] რელიგიის თავისუფლებაში ჩარევად მიჩნეულია შემთხვევები, როდესაც:

- **მოსარჩელეს გულწრფელად სჯერა საკუთარი რწმენის, რომელსაც კავშირი აქვს რელიგიასთან;**
- **სადავო ნორმა იმგვარად ერევა პირის თავისუფლებაში – იმოქმედოს საკუთარი მრწამსის მიხედვით, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უმნიშვნელოდ.**[54]

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ***Alberta v Hutterian Brethren Case Comment***.[55] საქმე ეხებოდა ჰუტერიტების რელიგიის მიმდევრებს, რომლებიც უარს აცხადებდნენ მართვის მოწმობისთვის **ფოტოსურათის გადაღებაზე,** რადგან მათი რელიგია მათ უკრძალავდა ფოტოსურათის გადაღებას. მართვის მოწმობა კი მათი არსებობისთვის მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან სწორედ მანქანებით ახდენდნენ ქალაქის ცენტრიდან თავიანთ დასახლებაში სხვადასხვა პროდუქტის გადაზიდვას.

კანადის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით ხდებოდა რელიგიის თავისუფლებაში არაუმნიშვნელო ჩარევა, თუმცა მიზნის მიღწევის საშუალება იყო გამოსადეგი და აუცილებელი. რაც შეეხება პროპორციულობას ვიწრო გაგებით, სასამართლომ მიუთითა,

---

51 იხ. აგრეთვე: V. v. the Netherlands, no. 10678/83, Commission decision of 5 July 1984, D.R. 34, p. 267; Revert and Legallais v. France, nos. 14331/88 and 14332/88, Commission decision of 8 September 1989, D.R. 62, p. 314; Sofianopoulos and Others v. Greece (dec.), nos. 198 8/02, 1997/02, 1977/02, 12 December 2002

52 Sherbert v. Verner, 374 US 398 (1963).

53 იხ. R. v. Jones, [1986] 2 S.C.R. 284.

54 იხ. Syndicat Northcrest v. Amselem, [2004] 2 S.C.R. 551, 2004 SCC 47

55 იხ. Alberta v. Hutterian Brethren of Wilson Colony, 2009 SCC 37, [2009] 2 SCR 567.

რომ **ჩარევა არ აიძულებდა ჰუტერიტებს დაერღვიათ საკუთარი რწმენა, ვინაიდან მათ არავინ ავალდებულებდა ფოტოს გადაღებას. მანქანის მართვა უფლება კი არ იყო, არამედ – პრივილეგია. ხოლო ჰუტერიტებს შეეძლოთ დაექირავებინათ მართვისმოწმობიანი მუშახელი, რომელიც მათ მოემსახურებოდა.** მართალია, ამ შემთხვევაში, ჰუტერიტების ფინასური ტვირთი გაიზრდებოდა, თუმცა ეს არ იქნებოდა იმ ხარისხის ტვირთი, რომელიც გადაწონიდა ლეგიტიმურ მიზანს. საბოლოო ჯამში, პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლომ დაადგინა, რომ თაღლითობასთან ბრძოლა იმდენად წონადი სახელმწიფო ინტერესი იყო, რომ ამ შემთხვევაში პირის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებული იყო.[56]

მოსალოდნელი შედეგები და მისი გავლენა კონფლიქტის გადაჭრაზე

„შედეგები" შეიძლება უკავშირდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობას, ისევე როგორც პირის მიერ ამა თუ იმ კანონით ან რეგულაციით გათვალისწინებული ვალდებულების/ მოთხოვნის შეუსრულებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, როგორია ეს შედეგები, პირდაპირი და აუცდენელი თუ გვერდითი.

პრაქტიკაში, ეს შეიძლება იყოს სერიოზული და პირდაპირი შედეგი, მაგალითად, **სამართლებრივი პასუხისმგებლობის რომელიმე ფორმა** (სისხლისსამართლებრივი, დისციპლინური, ა.შ); თუმცა, უარს შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ გვერდითი ეფექტები, კერძოდ, ვალდებულების შესრულების უარს შეიძლება მოჰყვეს რომელიმე სხვა უფლებით სარგებლობის (ან ეფექტიანად სარგებლობის), ანდა გარკვეული ბენეფიტების მიღების შესაძლებლობის აღკვეთა ან შემცირება, ან უბრალოდ დისკომფორტის შექმნა, ისეთ პირობებში, როდესაც საკუთრივ უარის გამო მოქალაქეს არ ემუქრება არავითარი სანქცია.

ვფიქრობ, ეს კონტექსტი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან, იმისდა მიხედვით, ემუქრება თუ არა პირდაპირი სანქცია ინდივიდს ვალდებულების შესრულებაზე უარისათვის, საქმის სამართლებრივი ბუნება სრულიად განსხვავებულია. **სანქციების მუქარის შემთხვევაში გაცილებით მეტია Forum internum-ზე ზემოქმედების ხარისხი, მეტია რწმენის საწინააღმდეგოდ მოქმედების შინაგანი იძულების ხარისხი და, მასთან ერთად, ის სულიერი წუხილი და დისკომფორტი, რომელიც ამგვარი ნაბიჯის გადადგმას ახლავს თან.**

მისგან განსხვავებით, როდესაც სანქციების მუქარა პირდაპირ არ არსებობს და ნეგატიური შედეგები მხოლოდ თანმდევი და გვერდითია, ვალდებულების არსებობა (რაიმე კანონით, რეგულაციით) ან საერთოდ არ გულისხმობს ჩარევას, ანდა ის ძალიან სუსტი ინტენსიურობის შემცველია. ამასთან, რაც უფრო ნაკლებია ინდივიდზე დაკისრებული ტვირთი, და რაც უფრო გვერდითია დამდგარი შედეგი, მით უფრო ნაკლებია რწმენის თავისუფლების სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტის პერსპექტივა.

ეს ნათლად ჩანს აშშ-ის სასამართლოების პრაქტიკიდან ოთხი საქმის მაგალითზე: რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ დასრულდა საქმე ***Wisconsin v. Yoder***[57], რომელიც შეეხებოდა **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას** მოსწავლეთა მშობლებზე, რომლებიც უარს აცხადებდნენ საკუთარი შვილების სკოლის დამამთავრებელ კლასებში მიყვანაზე, და ასევე, საქმე ***U.S. Equal Employment Opportunity Commission v. Consol Energy, INC***[58]**,** რომელიც შეეხებოდა მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებას ხელის სკანირების სისტემაში მონაწილეობაზე უარის გამო.

მათგან განსხვავებით, საქმე ***Bowen v. Roy***[59], რომელიც შეეხებოდა **მხოლოდ სახელმწიფო დახმარების დაკარგვას** სოციალური დახმარების ნომრის მიღებაზე უარის გამო, დასრულდა რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ. სასამართლოს არ უარუყვია, რომ ნომრის აღების ვალდებულება შესაძლოა წარმოადგენდა საკმაო ტვირთს რელიგიის თავისუფლებისათვის, თუმცა იგი ვერ გადასწონიდა იმ საჯარო ინტერესებს, რომელსაც საიდენტიფიკაციო ნომრების შემოღება ემსახურებოდა. საქმეზე ***Hernandez v. Northside Indep. Sch. Distr***[60] კი ის ნეგატივი, რო-

---

56 იხ. Alberta v. Hutterian Brethren of Wilson Colony, 2009 SCC 37, [2009] 2 SCR 567.

57 Wisconsin v. Yoder, 406 US 205 (1972).

58 United States Court of Appeals for the Fourth Circuit; 16-12-30, 12/06/2017. http://www.ca4.uscourts.gov/Opinions/Published/161230.P.pdf

59 United States Supreme Court, 476 U.S. 693 (1986) https://scholar.google.com/scholar_case?case=7792789260678712332&q=Bowen+v.+Roy&hl=en&as_sdt=2006&as_vis=1

60 United States District Court Western District of Texas San Antonio Division, 08/01/2013 https://www.rutherford.org/files_images/general/01-08-2013_Hernandez_Ruling.pdf

მელიც თან სდევდა მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას, კიდევ უფრო მინიმალური იყო. იგი გამოიხატებოდა მხოლოდ ერთგვარ დისკომფორტში, რომელიც წარმოიშობოდა ჩიპიანი ბეიჯის ტარებაზე უარით (ჩიპიანი ბარათის გარეშე მოსარჩელის შვილი კამპუსის ტერიტორიაზე ვერ შეძლებდა კაფეტერიაში გადახდას, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანას, ზოგიერთ სტუდენტურ აქტივობაში მონაწილეობას). აქაც საქმე არ დასრულდა რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ.

დასკვნა

კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან დაკავშირებული საქმეები გულისხმობს საკმაოდ რთულ ღირებულებათა კონფლიქტებს; კონფლიქტის გადაჭრაზე გავლენას ახდენს იმდენი სხვადასხვა გარემოება და ფაქტორი, რომ ხანდახან ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი აღმოჩნდა მთავარი და გადამწყვეტი შესაბამის შემთხვევაში.

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე შექმნილი სამართალი მოწმობს, რომ სტრასბურგის სასამართლო გამოიყენებს არაერთ მიდგომას, რომლებიც ხან ავიწროვებს და ხან აფართოვებს რწმენის თავისუფლების დაცული ფარგლების საზღვრებს და, შესაბამისად, ხან ზრდის და ხან ამცირებს მის სასარგებლოდ კონფლიქტის გადაჭრის პერსპექტივას. ლაბირინთების გავლაა საჭირო, რათა დავადგინოთ, ინდივიდის ქმედება, რომელიც ამ ინდივიდის აზრით, მისი რწმენით არის ნაკარნახევი, ჩაითვლება თუ არა რწმენის გაცხადებად კონვენციის მე-9 მუხლის გაგებით, რომლის შეზღუდვის სამართლიანობაც ღირებულებათა შესაბამისი კონფლიქტის ჭრილში უნდა გადაწყდეს. მოკლედ რომ ვთქვათ, სტრასბურგის სასამართლ ჯერ სხვადასხვა კრიტერიუმებთ ზღუდავს იმ შინაარსს, რაც მე-9 მუხლით არის დაცული, შემდეგ, თავისივე შემზღუდველ კრიტერიუმებს ვიწრო ინტერპრეტაციას აძლევს და ამით, ერთგვარ თვითშეზღუდვას ახორციელებს რწმენის საკითხების შეფასებისას:

ა) დაცული ფარგლების შემოზღუდვა.

დავიწყოთ იმით, რომ სტრასბურგის სასამართლო აყალიბებს რწმენის ლეგიტიმურობის კონცეფციას კონვენციის მე-9 მუხლის გაგებით და ამ მუხლის ფარგლებს მიღმა აქცევს ჯერ – დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან შეუთავსებელ „რწმენას" , ხოლო შემდეგ ისეთ „რწმენას", რომელიც არ ხასიათდება „განსაზღვრული ხარისხის დამაჯერებლობით, სერიოზულობით, თანმიმდევრულობითა და მნიშვნელოვნებით". სასამართლო განმარტავს, რომ როდესაც ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილებილია, სახელმწიფოს აღარ აქვს იმის უფლება, რომ რელიგიური რწმენის ან მისი გამოხატვის ლეგიტიმურობა შეაფასოს. ზემოაღნიშნულიდან შეიძლებოდა გაგვეკეთებინა მარტივი დასკვნა, რომ მითითებული კრიტერიუმებით რწმენის ლეგიტიმურობის დამტკიცების შემდეგ, ამ რწმენის ამა თუ იმ ფორმით გაცხადების შეზღუდვა თუ დაცულობა ღირებულებათა კონფლიქტის ჭრილში შეფასდებოდა. თუმცა, საკითხი ამით არ მთავრდება და გზადაგზა კიდევ რამდენიმე კრიტერიუმი გამოიყენება, რომლებიც ახალი საფუძვლებით ზღუდავს რწმენის თავისუფლების დაცულობის ფარგლებს. კერძოდ:

ბ) ტერმინების ვიწროდ განმარტება.

სასამართლო ვიწროდ განმარტავს, თუ რას გულისხმობს „რწმენის გაცხადება". მისი თქმით, „რწმენის გაცხადებაში" იგულისხმება ქმედება, რომელიც წარმოადგენს ამ რწმენის პირდაპირ გაცხადებას, იმგვარი რწმენისა, რომლის ლეგიტიმურობაც ეჭვს არ იწვევს. პირდაპირ გაცხადებად კი მიიჩნევს შემთხვევას, როდესაც რწმენასა და ქმედებას შორის არსებობს საკმარისად მჭიდრო და პირდაპირი კავშირი. სასამართლოს განმარტებებით, იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს „გაცხადებად" მე-9 მუხლის გაგებით, იგი პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს შესაბამის რელიგიას ან რწმენას. რელიგიის/რწმენის შესაბამისი „ გაცხადება " (manifest) უნდა წარმოადგენდეს ადამიანის ამა თუ იმ რწმენის გამოხატულებას და უშუალოდ იყოს ამ რწმენასთან დაკავშირებული. ქმედება ან მისგან თავის შეკავება, რომლებიც პირდაპირ არ გამოხატავს შესაბამის რწმენას და რომელიც მხოლოდ შორეულ კავშირშია მასთან, ხვდება მე-9 მუხლის დაცვის მიღმა. „რწმენის გაცხადება" არ გულისხმობს, ყველანაირ აქტს, რაც კი რელიგიით ან რწმენით არის მოტივირებული ანდა შთაგონებული. ქმედებასა და რწმენას შორის უნდა არსებობდეს საკმრისად ახლო და პირდაპირი კავშირი და ეს კავშირი უნდა დადგინდეს ფაქტების საფუძველზე ყოველ კონკრეტულ საქმეზე.

გ) ერთგვარი სიფრთხილე და უკანდახევა

მიუხედავად, საკმაოდ მკაცრი ფორმულირებებისა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლო

უარს ამბობს ზემოაღნიშნული მიდგომის ხისტი გამოყენებისაგან:

- იგი საკმარისად ფრთხილია იმის შეფასებისას, თუ რა ჩაითვლება საკმარისად მჭიდრო და პირდაპირ კავშირად. იგი არ მოითხოვს, რომ ქმედება წარმოადგენდეს შესაბამისი რწმენის გამოხატვის აღიარებულ ფორმას. რელიგიის ან რწმენის საყოველთაოდ აღიარებულ ფორმებად მიიჩნევს თაყვანისცემის ან ღვთისმოშიშობის აქტებს, თუმცა მიუთითებს, რომ რწმენის ან რელიგიის გაცხადება არ ამოიწურება ამ აქტებით;
- იგი თითქოს უკან იხევს და ადასტურებს, რომ სასამართლოს პოზიცია სრულიადაც არ არის გადამწყვეტი იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა ცალკეული ქმედება რელიგიური ვალდებულებების ნაწილს და რომ აქ მორწმუნის დამოკიდებულებაა მთავარი. განმარტავს, რომ ლოგიკური და სამართლებრივი არგუმენტების მოხმობით შეუძლებელია მორწმუნის იმ მტკიცების ეჭვის ქვეშ დაყენება, რომ ცალკეული რწმენა ან ქმედება მისი რელიგიური ვალდებულების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს;
- მისთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, შესაბამება თუ არა მორწმუნის მოსაზრება შესაბამისი კონფესიის ან იდეოლოგიური ჯგუფის ოფიციალურ პოზიციას, ანდა შეხება თუ არა ის შესაბამისი რწმენის პრინციპულ საკითხებსა და დოგმებს.
- უფრო მეტიც, მკვლევარები მიუთითებენ, რომ სასამართლოში პრაქტიკულად მომწიფებულია აზრი, აღიარებულ იქნას პრეზუმფცია იმისა, რომ აღმსარებლობით, ქადაგებით, წესების დაცვითა და რიტუალების შესრულებით რელიგიის ნებისმიერი bona fide „გაცხადება", დაცულია კონვენციით[61].
- იმავდროულად, სასამართლო მორწმუნეს ათავისუფლებს იმისი დამტკიცების ტვირთისგან, რომ იგი მოქმედებდა სწორედ რელიგიური ვალდებულების შესრულების მიზნით;
- კონფლიქტის გადაჭრისას ძლზე დიდ, ზოგჯერ, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ინდივიდის გულწრფელობას, წინააღმდეგობის კეთილსინდისიერებას. მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია დარწმუნდეს იმაში, რომ წინააღმდეგობა ეფუძნებოდა ადამიანის გულწრფელ მოსაზრებებს, რაიმეს სისწორეში ან სიმცდარეში მის გულწრფელ რწმენას.

2. მსგავსია აშშ-ის სასამართლოთა პოზიცია. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მოსამართლეები ვერ გადაწყვეტენ პირის რელიგიური მრწამსის სისწორეს. სასამართლოების კომპეტენციაში არ შედის პირის რელიგიური გრძნობის სისწორის გადამოწმება რაიმე ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გადამწყვეტი არ არის, თუ რამდენად პირდაპირ გამომდინარეობს შესაბამისი რელიგიური სწავლებიდან მოსარჩელის რელიგიური მოსაზრებები და ქმედებები. გადამწყვეტი არ არის, რამდენად შეესაბამება შესაბამისი რწმენა, მოსაზრება თუ ინტერპრეტაცია ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას ან გაზიარებულია თუ არა იგი მოსარჩელის მოძღვარის მიერ. არც ისაა აუცილებელი, რომ პირი რომელიმე რელიგიური ჯგუფის წევრი იყოს, იმისათვის, რათა მისი წინააღმდეგობა დაცული იყოს აშშ-ის კონსტიტუციის პირველი დამატებით. ამის მაგივრად, შემოწმებად საკითხად და დიდი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევა ის, თუ რამდენად გულწრფელად მისდევს ადამიანი საკუთარ მრწამსს.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაკავებული პოზიციები კეთილსინდისიერი რელიგიური წინააღმდეგობის საკითხებზე შეესაბამება ამ სფეროში საერთაშორისო სამართლის მიდგომებსა და საერთო სულისკვეთებას.

4. კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან დაკავშირებული საქმეები, როგორც წესი, უკავშირდება ზოგადი გამოყენების ნორმებს თუ სხვა რეგულაციებს, რომელთა მოთხოვნების მიმართ ინდივიდს გააჩნია რწმენიდან გამომდინარე წინააღმდეგობა. წინააღმდეგობა გამოიხატება ამ მოთხოვნების შესრულებაზე უარით. თავის მხრივ, უარის შედეგები ძალიან განსხვავებული შეიძლება იყოს (სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, სამსახურის დაკარგვა, ბენეფიტებისა თუ პრივილეგიების დაკარგვა, მხოლოდ გარკვეული დისკომფორტის წარმოშობა...). ამასთან, შედეგი შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე, გვერდითი, თანმხლები. რაც უფრო პირდაპირი და სერიოზულია ინდივიდისათვის დამდგარი ნეგატიური შედეგი, მით უფრო მეტია წინააღმდეგობის დაცვის გარანტია.

61 Harris, O'Boyle & Warbrick, Law of the European Convention on Human Rights,Second edition, Oxford, 2009, გვ, 434.

შედეგებისაგან უნდა განვასხვავოთ ტვირთი, რომელიც ეკისრება უშუალოდ ინდივიდის რელიგიის თავისუფლებას სახელმწიფოს ღონისძიების შედეგად. ცხადია, მძიმე ტვირთის დაკისრება მნიშვნელოვანი ფაქტორია რწმენის თავისუფლების სასარგებლოდ სასწორის გადასახრელად. მძიმე ტვირთად განიხილება შემთხვევა, როდესაც ნორმა/რეგულაცია ინდივიდისაგან მოითხოვს მისი რწმენის საწინააღმდეგოდ მოქმედებას. თუმცა, ჩემი აზრით, მძიმე ტვირთად უნდა ჩაითვალოს ინდივიდის რწმენის საწინააღმდეგოდ ამა თუ იმ მოქმედების შესრულების მოთხოვნა სანქციების მუქარით. შემთხვევა, როდესაც მოთხოვნის შეუსრულებლობა უკავშირდება ოდენ ბენეფიტების დაკარგვას ან დისკომფორტის წარმოშობას, არ უნდა იქნეს განხილული „მძიმე ტვირთად“.

5. თავისი სპეციფიკა აქვს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საქმეებს, რომლებიც უკავშირდება შინაარსობრივად ნეიტრალური ნორმების/რეგულაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგებს უკავშირდება მათი შეუსრულებლობა, ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკუთრივ საკითხი, იყო თუ არა სახეზე რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა; სტრასბურგის სასამართლოში გამოკვეთილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, შინაარსობრივად ნეიტრალური ნორმები, რომლებსაც მხოლოდ გვერდითი ნეგატიური ეფექტი აქვს რწმენის თავისუფლებაზე, არ წარმოადგენს ამ თავისუფლებაში ჩარევას; უფრო ხშირად, საკითხი მოწმდება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში. ასეთ დროს მთავრი გამოსაკვლევი საკითხებია: იყო თუ არა გამართლებული ბლანკეტური ნორმის მიღება, რომელიც არ ითვალისწინებდა გამონაკლისებს რწმენიდან გამომდინარე შესაძლო გულწრფელი წინააღმდეგობის შემთხვევებისათვის; იყო თუ არა განჭვრეტადი ამგვარი წინააღმდეგობის ალბათობა, და, კიდევაც რომ ყოფილიყო, იყო თუ არა გამონაკლისის დაწესება გონივრული, მიზანშეწონილი, და გამართლებული.

აშშ-ის სასამართლოთა მიერ ჩამოყალიბებული მიდგომების მიხედვით, ზოგადი ხასიათის ნორმები, რომლებსაც მხოლოდ გვერდითი ეფექტი აქვთ რელიგიის თავისუფლებაზე, მოწმდებიან რაციონალური ტესტის საფუძველზე. სადავო ნორმა კონსტიტუციურად მიიჩნევა, თუკი ის რაციონალურად უკავშირდება სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესს. მკაცრი ტესტი კი გამოიყენება მხოლოდ არსებითი ტვირთის დროს, როგორადაც მიჩნეულია შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს ქმედება აიძულებს ინდივიდს თავისი რელიგიური რწმენის დარღვევას. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ერთდროულად გამოიყენება რაციონალური და მკაცრი შეფასების ტესტები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, გარკვეული არათანმიმდევრულობაც პრაქტიკაში: ზოგ შემთხვევაში, რეგულაციის ნეიტრალურობა გამორიცხავს უფლებაში ჩარევას, ხოლო ზოგჯერ – არა, თანაც, ეს შეიძლება ხდებოდეს საკმაოდ მსგავს შემთხვევებში.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად დასაბუთების განსხვავებული სისტემისა თუ სტრუქტურისა, როგორც ევროპული სასამართლოს, ისე აშშ-ს სასამართლოების პრაქტიკა მოწმობს, რომ შინაარსობრივად ნეიტრალური კანონები, რომლებსაც გარკვეული ნეგატიური გავლენა აქვთ რწმენის თავისუფლებზე, ძირითადად დაცულია. სასამართლოს პრეცედენტები მოწმობს, რომ როგორც ევროპული სასამართლოს, ისე აშს-ს სასამართლოების მიერ ზოგადი ნორმების ბლანკეტურობა და მათგან გამონაკლისების არარსებობა ძირითადად არ ცხადდება არაკონსტიტუციურად, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომელიც უკავშირდება რწმენის თავისუფლებზე დაკისრებულ მნიშვნელოვან ტვირთს. ის ლეგიტიმური მიზნები, რომლებსაც ნეიტრალური ნორმები ემსახურება, ხშირად გადასწონის რწმენის თავისუფლების საკითხებს, როცაკი ნორმები რაციონალურ კავშირშია ამ მიზნებთან. ზოგიერთ სფეროში, როგორიცაა სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტების შინაარსი და ფორმა, მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები განსაკუთრებულად დიდია და ბლანკეტური ნორმებიდან გამონაკლისების საჭიროება არ დგინდება. მიჩნეულია, რომ რწმენის თავისუფლება ვერ იქნება ისე ფართოდ განხილული, თითქოს ის გულისხმობდეს ადამიანის უფლებას, არ დაემორჩილოს საერთო გამოყენების კანონებს და დაემორჩილოს მხოლოდ მათ, რომლებიც მის რწმენასთანაა შესაბამისი.

6. რწმენასთან დაკავშირებული წინააღმდეგობის საქმეები ყოველთვის განიხილება რწმენის გამოხატვის (forum externum) ჭრილში, რამდენადაც მიჩნეულია, რომ ინდივიდის მიერ ნორმიდან/რეგულაციიდან გამომდინარე მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სწორედ რწმენის გაცხადებას/გამოხატვას. თუმცა, თუ დავაკვირდებით, მიჯნები რწმენის forum internum თუ forum externum კომპონენტებს შორის ძალიან მკრთალი და პირობითია. როდესაც ინდივიდი ჩაყენებულია ისეთ მდგომარეობაში,

როდესაც იძულებულია ან იმოქმედოს თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ მოსალოდნელი სანქციების ასაცილებლად, ანდა დარჩეს თავისი რწმენის ერთგული, მაგრამ იწვნიოს თავის ქცევის ნეგატიური შედეგები, ძნელია იმის უარყოფა, რომ პიროვნების შინაგანი რწმენა – forum internum, გარკვეული ხვედრითი წილით, ასევე არის ინტერვენციის საგანი.

7. კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან დაკავშირებული საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი ხასიათდება კომპლექსურობითა და დელიკატურობით, რომელებიც ფრთხილ, ფილიგრანულ მიდგომებს საჭიროებს. რწმენის თავისუფლებას პატივი უნდა მიეგოს, თუმცა, ერთ-ერთ ძირეულ საკითხზე უკვე არის ცხადი პასუხი გაცემული:

რწმენის/რელიგიის თავისუფლების ფარგლები არ ვრცელდება ისე შორს, რომ იგი ნებას რთავდეს პირს, თავისი რელიგიური თუ სხვა მოსაზრებების გამო არ დაემორჩილოს საერთო კანონებს, ხოლო სახელმწიფოს ყოველთვის ავალდებულებდეს ამ კანონებიდან გამონაკლისის დაწესებას მათთვის.[62]

62 მხედველობაშია აშშ-ს უზენაეს სასამართლოში განხილული საქმე Reynolds v. United States, 98 U.S. 145 (1878), სადაც დადგინდა, რომ რელიგიური ვალდებულების შესრულება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნისაგან იმუნიტეტის გარანტიას. საქმე შეეხებოდა რელიგიით მორმონი პირის მსჯავრდებას ორცოლიანობისათვის, მაშინ როდესაც კანონით მრავალცოლიანობა (პოლიგამია) დანაშაულს წარმოადგენდა. სასამართლომ არ გაიზიარა არგუმენტი იმის თაობაზე, რომ რაკიღა პირი ასრულებდა რელიგიურ ვალდებულებას, მას დევნისაგან იმუნიტეტი გააჩნდა. სასამართლომ მიუთითა, რომ ამის დაშვება რელიგიური მოსაზრებების კანონზე მაღლა დაყენებას და ყოველი მოქალაქისათვის იმის უფლების მიცემას ნიშნავდა, რომ თვითონ გამხადრიყო თავისი თავის კანონმდებელი („ ... to permit this would be to make the professed doctrines of religious belief superior to the law of the land, and in effect to permit every citizen to become a law unto himself.» The Court believed the First Amendment forbade Congress from legislating against opinion, but allowed it to legislate against action“)..